ВСЕХ СТРАН СОЕДИНЯЙТЕСЬ
СССР
ЗНАК ПОЧЕТА

# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1979 წ.

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1979



ეროვნული ბიბლიოთეკა

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**




მძლეოსნობის სასახლე თბილისში

დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1979 — ბავშვის საერთაშორისო წელიწადი

I6193

## ლ. ი. ბრეჟნევი

# ბავშვები ჩვენი მომავალია

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წელი ბავშვის წლად გამოაცხადა. იუნესკომ მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებსა და საზოგადო მოღვაწეებს სთხოვა ახალი წელი მიელოცათ ბავშვებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ინიციატივასთან დაკავშირებით.

1 იანვარს ცენტრალური ტელევიზიით გადაიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა. გთავაზობთ ამ გამოსვლის ტექსტს.

გამარჯობათ, ძვირფასო ნორჩო მეგობრებო! გილოცავთ ყველას ახალ წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს, გადაწყვიტა ეს წელი ბავშვის წლად გამოაცხადოს. ეს ძალიან კარგი, სწორი გადაწყვეტილებაა. ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ.

სამწუხაროდ, დღეს ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრგან გაისმის სროლა, იღვრება სისხლი და იღუპებიან არა მარტო მოზრდილები, არამედ ბავშვებიც. ჯერ კიდევ ბევრი ბავშვი იხოცება შიმშილითა და ავადმყოფობით. ამას ვერ შევურიგდებით. საბჭოთა კავშირში ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს. ჩვენ ავაშენეთ და კვლავაც ავაშენებთ ათასობით ნათელ, მოხერხებულ საბავშვო ბაგას, საბავშვო ბაღს, სკოლას. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ სიკეთე, მეგობრობა, ვასწავლოთ იცხოვრონ კეთილმეზობლურად ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ყველა ადამიანთან, ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

ძვირფასო ბავშვებო! გოგონებო და ბიჭუნებო! მოვა დრო და თქვენც გაიზრდებით, მაშინ მომავლისათვის ზრუნვა თქვენ დაგეკისრებათ. ჯერ-ჯერობით კი გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობიან და საამურ ცხოვრებას.

---

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა იუნესკოს გაეგზავნა. (საქდესი)

ეროვნული ბიბლიოთეკა





## საბჭოთა საქართველოს ზეიმზედ მეექვსედ მიენიჭა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა

# შენ ახალი საქართველო გქვიანო...

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი

**ზამთარს ჯერ ფარხმალი არ დაუყრია, ხალხის გული კი უკვე მზით გამთბარა და გაშუქებულა.** ეს სიხარულის მზეა — ქართველი ხალხი, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა მშრომელთან ერთად, საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეს ზეიმობს.

წლეულს ორმოცდამეთვრამეტედ გადაიფურცლა კალენდრის 25 თებერვლის წითელი ფურცელი. ორი წელიწადიც და, ჩვენი რესპუბლიკა თავისი ახალი ცხოვრების მეშვიდე ათწლეულის კარიბჭეს შეაღებს.

რამდენი რამ მოხდა ამ ექვს ათეულ წელიწადში, რამდენი რამ შეიცვალა, როგორ აშენდა და დამშვენდა ჩვენი ქალაქები და სოფლები, რამდენი დამჭკნარი ბაღი გაცოცხლდა და აყვავილდა, რამდენ ჭირსა ვძლიეთ და რამდენი სიამე ჩაბუდდა ადამიანის გულში, რა დიდი გამარჯვების მოწმენი გავხდით!

საბჭოთა საქართველომ გამარჯვებებით განვლო ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი გზა. ეს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული ბედნიერების გზაა.

პარტიის სიბრძნე და სიწრფელე, მისი რწმენის სიმტკიცე, გონების სისაღე და გულის სიმხურვალე სწორედ ის არის, რომ ის არც მაშინ ხუჭავს თვალს, როცა ცხოვრების ცისკიდურზე სიძნელეთა ღრუბლები გამოჩნდება!

პარტიას მზის სინათლეზე გამოაქვს ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები, გულახდილად აცნობს ხალხს გადაუჭრელ პრობლემებს და სახავს მათი გადაჭრის გზებს.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ ექვსი წლის წინათ გამოტანილმა დადგენილებამ ფრთა შეაკვეცა ჩვენს რესპუბლიკაში გამეფებულ მანკიერ მოვლენებს. ეს დადგენილება, საქართველოს ცხოვრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის დიდი დაინტერესება ნათელი ნიშანსვეტი გახდა ჩვენი სახალხო მეურნეობისა და სულიერი ცხოვრების ახლებურად გარდაქმნის, გაჯანსაღებისა და აღმავლობის გზაზე.

ვინ არ იცის, ან ვის შეუძლია უარყოს, რომ ოცი წლის განმავლობაში საქართველოში თავისუფლად დანავარდობდნენ მექრთამეები, ვაჭრუკანები, ქურდები და მომხვეჭელები. ბევრი წერა-კითხვის უცოდინარი ჩარჩი და საქმოსანი, მელუდე, მეხინკლე ქედმაღლურად უყურებდა და დასცინოდა მშრომელ ადამიანს. ამიტომ ჩვენი ახალგაზრდები გულს იცრუებდნენ სწავლაზე. ჩარჩობასაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე დიდ უსინდისობასაც, როგორიც კი შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა — მექრთამეობასაც—ცხოვრების შნოს ეძახდნენ!

მაგრამ, საბედნიეროდ, დარეკა ახალმა ზარმა, ზარმა პატიოსნებისამ, შრომის დიდებისამ. ბუნებრივია, რომ ამ ზარის ხმა ცხოვრების ნაძირალებს გულში ლახვრად ჩაესოთ, პატიოსან ადამიანებს კი გული სიხარულით აუვსო.

პატარა ამბავი ხომ არ არის: ხალხს რწმენა დაუბრუნდა. ხალხმა გაიხარა. 1974 წელს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ წინასაარჩევნო სიტყვაში ასეთი მაგალითი მოიყვანა: მგზავრებმა ავტობუსიდან ძირს უკრეს თავი ერთ ნაძირალას, რომელიც საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი სასიკეთო ცვლილებების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მახსენდება ეს მაგალითი და ვფიქრობ, რომ იგი ნათლად გამოხატავს ხალხის სულისკვეთებას.

გაფუჭებას გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე გაკეთებას. ათასი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა ადვილი როდია. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ზოგს ეჭვიც კი გაუელვებდა ხოლმე გულის სიღრმეში: „შევძლებთ კი ოცი წლის წახდენილის გამოსწორებას?“ მაგრამ ამ ეჭვს ყოველთვის აქარწყლებდა რწმენა, რომ

ხალხის ერთსულოვნებასა და დარაზმულობას წინ ვერაფერი აღუდგება, რომ ხალხისა და ხელმძღვანელობის საერთო მისწრაფება და ურთიერთსიყვარული ისეთი მედგარი ძალაა, რომლის წინაშეც ყველა სიძნელე იჩოქებს, უღონო და უბადრუკი ხდება!

ამ რწმენამ, ამ სიყვარულმა თვალნათლივ გამოიღო ნაყოფი: შრომა და პატიოსნება გამარჯვების გზას დაადგა.

ახალი სიოს ქროლვას ახალი ადმიანები მოჰყვნენ. ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, მაღაროებში თუ ბრძმედებთან, პურისა და სიმინდის ყანებსა თუ ბაღ-ვენახებში, მერხებთან, სამეცნიერო ლაბორატორიებში თუ საწერ მაგიდებთან ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა ჩვენს სახელოვან მუშებს, კოლმეურნე გლეხობას, ჩვენს ინტელიგენციას გულში უფრო მეტი ხალისი ჩაუქსოვეს, მეტი ცეცხლი ჩაუნთეს.

მშრომელები ხედავენ, აფასებენ, ემადლიერებიან ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მისია დააკისრა — ხელთ ეპყრათ მუშაობის ლენინური სტილის საჭე, ყოველ წუთს ახსოვდეთ, რომ პარტიის ავტორიტეტს განასახიერებენ, იყვნენ გულისხმიერნი, თვითეული მშრომელის ინტერესების გულთან მიმტანნი.

ძნელია ერთ წერილში მათი ჩამოთვლა, მათი საქმიანობის წვრილად აღწერა. ძნელია ამ ერთი წერილით მკითხველი საქართველოს ყველა რაიონის ცხოვრებაში ჩავახედო და რიგითი ადამიანების აზრი და გულისთქმა მოვასმენინო.

პარტიის რაიონული კომიტეტების ახალ ხელმძღვანელებზე ნათქვამ სასიამოვნო სიტყვებს საქართველოს ბევრ ქალაქში, ბევრ რაიონში მოისმენთ. ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქურაში არიან ნაწრთობნი, მის გრდემლზე არიან გამოკვერილნი. ამ ქურაში კი ცეცხლი არასოდეს ჩაქრება, რადგან ის ხალხის სიყვარულით არის გაღვივებული.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი რესპუბლიკის მთიდან თუ ბარიდან ყოველდღე მოდის ქართველი ხალხის გამარჯვებათა ამსახველი სასიხარულო ცნობები.

ამ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ჩვენმა რესპუბლიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების დარგებში. გულს ახარებს საქართველოს ეკონომიკის სიმძლავრე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა. მარტო ის რად ღირს, რომ წარმოების, მშენებლობისა და ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ზრდის ტემპებით ჩვენს რესპუბლიკას პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში, რაც წინათ არასოდეს მომხდარა.

მრეწველობის აღმავლობაში დიდია ქალთა როლი. ვერა ქემაშვილს, ეთერ სოლომონიას და სხვებს მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავთ.

ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების გაჯანსაღებამ შრომის ხალისი გაუასკეცა ენგურჰესის მშენებლებს, რომელთაც ეს საშვილიშვილო საქმე სასახელოდ დააგვირგვინეს: ვადამდე და პირნათლად შეასრულეს პარტიის 25-ე ყრილობის დირექტივებით მეათე ხუთწლედში გათვალისწინებული მსოფლიოში უნიკალური ენგურჰესის სამი აგრეგატის ამუშავების პროგრამა.

ასრულდა სვანეთის მცხოვრებთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება — აქამდე მიუვალი მთები ფართო მოასფალტებულმა შარაგზებმა დასერა.

უკანასკნელ წლებში უფრო მეტად გალამაზდა, გამშვენიერდა საქართველოს დედაქალაქი. მას ბევრი ახალი დიდებული ობიექტი შეემატა: ახალი საცურაო კომპლექსი, ტანვარჯიშის მანეჟი, მიწისქვეშა გადასასვლელები... გალამაზდა, კეთილმოეწყო, ტრანსპორტისათვის მოხერხებული გახდა გმირთა მოედანი... მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა კოლმეურნეობისა და ვაგზლის მოედნებზე — აშენდა საუცხოო „ბორჯომის სადგური“, კოლმეურნეობის მოედნის რეკონსტრუქციის შედეგად თვალწინ გადაიშალა ძველი თბილისის კოლორიტული ხედი, გადაწყვეტილია, რომ ძველი თბილისი ნაკრძალად გამოცხადდეს.

კულტურის ძეგლთა დაცვას არასოდეს მიქცევია იმდენი ყურადღება, რამდენიც ამ ბოლო წლებში მიექცა. განხორციელდა გარეჯის, სვანეთის კოშკებისა და სხვა ძეგლების რესტავრაცია; ისტორიული ციხე-სიმაგრე, ჩვენი რესპუბლიკის უმშვენიერესი თვალმარგალიტი — ქალაქი სიღნაღი ხუროთმოძღვრულ ნაკრძალად გამოცხადდა.

მეტი ფასი დაედო მასწავლებელთა, ექიმთა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ფრიად კეთილშობილურ და საპატიო საქმიანობას. ბევრი მათგანი მთავრობის ჯილდოებით დაჯილდოვდა, ზოგი კი სოციალისტური შრომის გმირიც გახდა.

ვინ დაითვლის ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მუშაკთა დიდ წარმატებებს, სახელოვანი ქართველი სპორტსმენების თუნდაც შარშანდელი წლის ოქროს მედლებს! ანდა თუნდაც რად ღირს ქართველ მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო აღიარება!

სათარეშო ნიადაგი გამოეცალათ ქორვაჭრებს, ვინც რესპუბლიკის გარეთ არცხვენდა შრომითა და პატიოსნებით ოდითგანვე განთქმულ ქართველი კაცის სახელს.

ერთი სიტყვით, ის ფაქტი, რომ სტიქია (თითქოს ჯიბრში გვედგეს!) ყოველწლიურად სეტყვავს ჩვენს ზვრებს, მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ბოლო წლებში ექვს წელიწადს ზედიზედ მაინც ჩვენს რესპუბლიკაში ფრიალებს, — ყველაფრისმეტყველია!

აღარ არის საჭირო სიტყვის გაგრძელება და კალამს უჭირს კიდეც ყველა გამარჯვების სრულყოფილად ასახვა, მაგრამ არ შეიძლება საგანგებოდ არ მოვიხსენიოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომელთაც, რწმენადაბრუნებულებმა და ფრთაგამოსხმულებმა, არნახული ძალღონით გასწიეს შრომის ჭაპანი, არც გვალვასა და ხორშაკს შეუშინდნენ, არც სეტყვას დააჯაბნინეს თავი და მათს გმირულ სულს ვერც წყალდიდობამ და ღვართქაფმა უცვალა ნირი.

ვაზისა და ქართველი კაცის ერთგულების ფესვები საუკუნეთა ლაბირინთებშია ჩახლართული. ქართველი კაცი უხსოვარი დროიდან შვილივით ზრდის, ეფერება, ელოლიავება ვაზს. და არც წლეულს უღალატნია მისთვის. თუ ხატოვნად რთველს ლხინს დავარქმევთ, შარშანდელი რთვლის სალხინო სუფრაზე სათამადო ადგილი გურჯაანელებმა დაიკავეს. თამადას ამაყად შემოუსხდნენ გვერდით და მხარი დაუმშვენეს თელაველმა, ყვარლელმა, სიღნაღელმა, ახმეტელმა, წითელწყაროელმა და სხვა მევენახეებმა... პირგაუტეხელმა ქართველმა კაცმა 1978 წელს ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, სამშობლოს წინაშეც მოიხადა ვალი და არც თავის მარანში გაუშრო ქვევრებს ყელი.

შარშან ჩვენი რესპუბლიკის ქალებმა 434 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ბარაქალა მათს მარჯვენას! ვის არ სმენია ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ზუგდიდელი მეჩაიის თამარ ყუფუნიას, ნატანებელი მეჩაიე ქეთევან ნიკოლაიშვილის, გალელი მექანიზატორის ნაზიბროლა ხასაიას, ალვანელი და ჯაფარიძელი მეცხოველეების — ნაზო პეტრიაშვილის, ზაირა ალხანიშვილის, სხვა ქართველ სახელოვან ქალთა სახელები!

შრომის ცეცხლს კეთილი მიზანი აღვივებს, გარჯისთვის კაცს სიყვარული ასხამს ფრთებს. ქართველ კაცსაც მუდამ ჰქონია კეთილი მიზანი — სამშობლოს სამსახური და არასოდეს განელებია სიყვარული — სამშობლოს ტრფიალი, ამიტომაც მუდამ ხალისით უღვრია შრომის წმიდა ოფლი — ჯეჯილი აუბიბინებია და ხორბალი მთებად დაუხვავებია, ზვრები აუხასხასებია და ღვინო ზღვად დაუყენებია...

სწორედ ქართველი ხალხის თავდადებული, დაუღალავი შრომისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დიდი დამრაზმავი, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგი იყო მევენახეთა გამარჯვებები: ჯერ 1975 წლის რეკორდული მოსავალი, მერე კი ის, რომ 1978 წელს ეს რეკორდიც უკან მოვიტოვეთ...

გუშინდელ დღესავით მახსოვს როგორ აღსდგა მთელი საქრთველო, როცა კახეთის ზვრების მოსავალს გვალვა და ხორშაკი დაემუქრა. უყურუანტელოდ არავის შეეძლო გაზეთებში იმის წაკითხვა, თუ აჭარიდან, გურია-სამეგრელოდან, იმერეთიდან, ამერეთისა და იმერეთის სხვა კუთხეებიდან გურჯაანელთა ზვრებისკენ როგორ დაიძრა წყლით სავსე ცისტერნიანი ავტომანქანები, რათა გული დაელბოთ სიცხით დაშაშრული მიწისთვის, მაცოცხლებელი წყალი მიეწოდებინათ ვაზის ფესვებისათვის, წლის მოსავალი დაღუპვას გადაერჩინათ. ულმობელი სტიქია წალეკვით ემუქრებოდა კაცის ნაშრომ-ნაოფლარს. და ეს მთელ ქართველ ხალხს ერთნაირად უწვავდა გულს. ეს ყველას საწუხარი იყო — მეფოლადისაც და მევენახისაც, მაღაროელისაც და მეხილისაც, მწერლისაც და მეცნიერისაც... ფეხზე დადგა ერთიანი და მონოლითური საქართველო! ეს ბუნებრივიც არის: გურჯაანელისა

და სოლნალელის გასაჭირი ხომ ლანჩხუთელისა და ზუგდიდელის გასაჭირია, კასპელისა და გორელის სატკივარი ხომ ზესტაფონელისა და ონელის სატკივარია...

მახსოვს, პოეტები ჯანსუღ ჩარკვიანი და მორის ფოცხიშვილი ლექსებითა და პოემებით ამოუდგნენ მხარში სტიქიას შერკინებულ ვაჟკაცებს. მხატვრული სიტყვის ძალამ იმედი და გამარჯვების რწმენა უფრო მეტად განუმტკიცა ადამიანებს...

ყოველივე ამას ერთი წმინდა სახელი ჰქვია, ამაღელვებელი და ლამაზი სახელი: პატრიოტიზმი!

ამ გრძნობით გადალახა ქართველმა ხალხმა ყველა სიძნელე, მოძმე ხალხთა ერებთან ერთად ამ გრძნობით შელეწა ფაშისტური ურჩხულის კარი, ამ გრძნობით მიაღწია გამარჯვების ყველა მწვერვალს.

ნამდვილი პატრიოტის გულში ყოველთვის ღვივის ინტერნაციონალიზმი, რადგან ეს ორი გრძნობა ერთმანეთს ერწყმის და უერთმანეთოდ მათი არსებობა წარმოუდგენელია.

სახალხო მეურნეობასა, კულტურასა და მეცნიერებაში უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის მიერ მოპოვებული გამარჯვებებიც სწორედ ყველა ნამდვილი პატრიოტის დიდ გულს მიეწერება და არა ზოგიერთი ცრუ პატრიოტისას, რომელიც სიტყვითა და სადღეგრძელოთი პატრიოტობს, საქმით კი თითსაც არ ანძრევს ქართველი ხალხის სახელისა და დიდებისათვის, უფრო მეტიც: ხანდახან არცხვენს კიდეც ამ სახელს...

იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა ენის" მეასე წლისთავის იუბილე ზეიმით რომ გადავიხადეთ, ერი ძეგლს რომ უდგამს თავის სანუკვარ წიგნს, რაც პირველი ან უიშვიათესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული პირველი ნაწარმოების „შუშანიკის წამების" მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნა, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების უკანასკნელი წლების ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველი კაცის პატრიოტული გულის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი მთავრობის ზრუნვის შედეგია.

როცა უპატიოსნობის მიკრობები ღრმად არის შეჭრილი და გავრცელებული ცხოვრების ორგანიზმში, კაცმა მკურნალის მისია რომ იკისრო, ხალხს რწმენა რომ დაუბრუნო, ეს გმირობაა! ასეთი გმირობა იკისრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ჩვენი რესპუბლიკა აყვავდა, გაიფურჩქნა და აღმავლობის გზას დაადგა. მეოცე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი, როგორც ჭეშმარიტი გმირობის ხანა, საქართველოს ისტორიაში, ოქროს ასოებით ჩაიწერება!

ამხ. ე. ა. შევარდნაძის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად არჩევა, მისთვის ლენინის ორდენის გადაცემა და ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები — „... ამ ენერგიულმა და გაბედულმა ადამიანმა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე ავტორიტეტი მოიხვეჭა როგორც რესპუბლიკაში, ისე მთელ ჩვენს ქვეყანაში", — ქართველი ხალხის წინსვლის, მისი დიდი ნიჭისა და ნათელი გონების აღიარებაა, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შრომისა და ღვაწლის დაფასებაა, საბჭოთა საქართველოსადმი ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის დიდი ყურადღების გამოხატულებაა. მუდამ შეგნებული, მუდამ სინდისიერი, მადლიერების გრძნობის მქონე ქართველი ხალხი აფასებს, შრომითა და პატიოსნებით, ჩვენი ცხოვრების ყველა ფრონტზე ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებით უპასუხებს ამ ყურადღებას.

განახლდა, წინ მიდის, სიძნელეებს არ უშინდება და ახალ-ახალ მწვერვალებს მიელტვის ჩვენი რესპუბლიკა. ახლა, ისე როგორც არასოდეს, მასზე ზედგამოჭრილია პოეტის სიტყვები:

> აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებავ,
> შენ ახალი საქართველო გქვიანო!

**ალექსანდრე გეგაშვილი**
მწერალი

**ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე**

## დიდება ახალ კონსტიტუციას

რა სხივი გადაგფენია
სტრიქონთან ღამეგანათევს...
ეს სიხარული ჩვენია,
დღეს მზეც სხვა ეშხით ანათებს.

დიდება ხალხის გულს მზიანს,
ერთობლივ მიზანს დიდება,
ახალი კონსტიტუცია
ახალ სიხარულს გვპირდება.

ახალ სინათლეს, სიმართლეს
და ახალ წყაროს გაჩენას...
რომ კერა გაუდიადდეს
მშრომელ კაცს, ქვეყნის მარჩენალს.

მოდის თაობა ახალი,
განახლებული იერით,
შენი მზესავით მაღალი,
შენი ხმასავით ძლიერი.

და თუ სამშობლოს დასჭირდა,
ხიდად შევუდგამთ ცას მკლავებს...
რომ ძალუმ მისწვდეს ტაშის ხმა
სხვისთვის მიუწვდომ ვარსკვლავებს.

შენი კანონის ჭირიმე,
მტერს მტრულად ვხვდებით, ძმას ძმურად,
სიცოცხლე აგვიღიმილე
მარადისობის დასტურად.

ყველა სიკეთის მომცემი
წინ გვიძღვი, ცისკრის სადარო,
ხალხის ცადაწვდილ ოცნების
მზედ ახდენილო ზღაპარო.

* * *

გაგვიფრინდება დაფრენილი ბლის ტოტზე ჩიტი,
იების მინდორს გადაივლის ჩვენი ბილიკიც,
ზოგჯერ პირიქით გაგვიგებენ, თუ რამეს ვიტყვით,
ზოგჯერ ნანატრის ასრულებაც ხდება პირიქით,
თუ პოეზია სხვაზე მეტად არ გიხარია,
თუკი წიქარა შენთვის მხოლოდ ნიშა ხარია,
თუკი მამული სიკვდილამდე არ შეიყვარე,
თუ მიწად იქეც და ყლორტი არ ამოიყარე,
რაა სიცოცხლე?..

**სიმონ გალახაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნობათი სამშობლოს

შარშან, გვიან გაზაფხულდა. ზაფხულიც წვიმიანი იყო, ამას წყალდიდობაც დაერთო. გაუჭირდა მიწის მუშას ჩაის პლანტაციებში, ვენახში, ყანაში. მთელი ძალღონე მიწას შეალია, რომ ბუნებისთვის ეჯობნა. აქ მას გვერდში ამოუდგნენ მანქანები და მექანიზმები. პარტიულმა ორგანიზაციებმა ითავეს სტიქიასთან ბრძოლის მოგება, რომ უქმად არ დაკარგულიყო არცერთი დღე, საათი, წუთი... და გაიმარჯვეს კიდეც. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე რაც მეჩაიემ იშრომა — დაუფასდა. რესპუბლიკის ჩაის მრეწველობამ გადასამუშავებლად მიიღო 434 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადაჭარბებით შესრულდა მეათე ხუთწლედის დამლევისათვის დასახული დონე.

არც მევენახეები გარჯილან ნაკლებად. 510 ათასი ტონის ნაცვლად საქართველოს მარნებში დაიწურა და დალვინდა 572 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, რაც შარშანწინდელზე 165 ათასი ტონით მეტია. კიდევ უფრო მეტი გვექნებოდა, რომ 19 რაიონს 23 ათასი ტონა ყურძენი არ დაეკლო. ეს ეხებათ მაიაკოვსკელებს, ზესტაფონელებს, თერჯოლელებს, ვანელებს, სამტრედიელებს, წყალტუბოელებს. დანაკლისი მათი შრომის ცუდი ორგანიზაციის, აგროტექნიკური მოთხოვნების დარღვევის შედეგია.

კარგად იშრომეს მეციტრუსეებმაც.

ჯერ კიდევ უჭირთ მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს. ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ყველა რეზერვი მეცხოველეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის აღმავლობისთვის.

ამჟამად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შემუშავებულია და ხორციელდება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობის გრძელვადიანი პროგრამა. საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის გათვალისწინებით საქართველოსათვის მაპროფილებელი კულტურებია ჩაი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები და სხვა.

დასახულია მათი წარმოების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება. უახლოეს მომავალში უნდა გადაწყდეს სამამულო წარმოების ჩაით ქვეყნის სრული უზრუნველყოფის ამოცანა. კერძოდ, 1985 წლისთვის ჩაის ფოთლის წარმოება რესპუბლიკაში 500 ათასი ტონამდე გაიზრდება.

სპეციალიზაცია ყურძნის წარმოებასაც შეეხება. 80 ათას ჰექტრამდე გაიზრდება ვენახების ფართობი. ყურძნის წარმოება კი 700 ათას ტონას მიაღწევს. სპეციალიზაცია და კონცენტრაცია შეეხება მემინდვრეობასაც.

ყველაფერი კი მაინც მშრომელ ადამიანებზეა დამოკიდებული.

მათ კვლავაც უნდა გამოიჩინონ დიდი ნებისყოფა, დაძლიონ ყველა სიძნელე, არ დააკლონ ცდა და მისცენ სამშობლოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უხვი მოსავალი.

აი, შარშანდელი შრომის გმირები, რომლებიც წლეულსაც შეასრულებენ პირობას:



ლილი ბახტაძე წულუკიძელი მეჩაიეა, მან წამოიწყო თაოსნობა „ხუთწლედში — ორი ხუთწლედი“. იგი 1968 წლიდან ახალგაზრდულ რგოლს ხელმძღვანელობს, ამჟამად ვეტერან მეჩაიეთა რგოლის ხელმძღვანელია. ლილი ყოველთვის ორმაგად ასრულებდა ჩაის კრეფის გეგმებს. ასე იყო შარშანაც. 0,53 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 4500 კილოგრამი ჩაის ფოთლის ნაცვლად 12500 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. აქედან 71 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. დიდი გადაჭარბებით შეასრულა გეგმა-ვალდებულება მისმა რგოლმაც.



ნანატრი კოპალიანი წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობაში შრომობს. მან მეათე ხუთწლედში 11,8 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა იკისრა, სამ წელიწადში კი უკვე 22 ტონა ფოთოლი აქვს ჩაბარებული. ხუთწლედის ბოლომდე ჩაის ტონები 35-მდე მიაღწევს. ამის გარანტიას იძლევა ყოველწლიურად გაზრდილი მოსავალი, რასაც ნ. კოპალიანი ყოველ დღე, ყოველ საათს უყრის საფუძველს.



ქსენია კევალიშვილს ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავის სახელი აქვს მოპოვებული. 1966 წელს მას შრომის გმირობა მიენიჭა. შარშან ქსენიამ კვლავ ისახელა თავი. 4,5 ტონა ჩაის ნაცვლად სახელმწიფოს 15,5 ტონა ფოთოლი ჩააბარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრე მოსული გამარჯვება



ვალიდა ჟღენტს მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთაში ყველა იცნობს, როგორც კარგ მერგოლურს, დაუზარელ, ენერგიულ ამხანაგს. შარშან მისმა რგოლმა საუკეთესო ხარისხის ფოთოლი მოკრიფა და გეგმასაც ბევრად გადააჭარბა. პირადად ვალიდამ 19 ტონა ჩაი ჩამოკრიფა ბუჩქებიდან.



ელენე კვაჭაძეც გურიანთელია და ისიც მოწინავე მერგოლურია. 17 ტონა ჩაი, 12 ტონის ნაცვლად, — ასეთია მისი შარშანდელი ნობათი სამშობლოსათვის.

გვიანი შემოდგომის მზე იმ დღეს მწვავედ აცხუნებდა კახეთში. ბარაქიანი რთველი ეს-ეს იყო დაემთავრებინათ გურჯაანელებს. მოსავლი მოეწიათ, დასაკრეფი დაეკრიფათ და ზამთრის საქმეებს შედგომოდნენ. ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმს რესტავრაციას უკეთებდნენ, იქვე ბეზარაანთ წყაროზე ჯერ ისევ შეუმშრალი სველი ცემენტიდან წყალი წვეთ-წვეთ ჟონავდა, საჭაშნიკეებს ლესავდნენ, შიდა გზებს აასფალტებდნენ. აქ ძველებურ ბანიანს სახლებს ეროვნულ კოლორიტს უნარჩუნებენ, თაღებს, აჟურულ ჩუქურთმებს ხომ თვალისჩინივით უფრთხილდებიან.

ბოლო ხუთ წელიწადში რაიონში გაწეულმა სამუშაოებმა, ეგრეთწოდებულმა სასიკეთო გარდაქმნებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— ეს. რაც თქვენ ერთი თვალის შევლებით შენიშნეთ. ზღვაში წვეთია. — გვითხრა ველისციხის კოლმეურნეობის მაშინდელმა თავმჯდომარემ ილია ნიბლაძემ და კახელი კაცის ჩვეული სიდინჯით წვრილად მოგვიყვა, თუ რა გაკეთდა და რის გაკეთებას აპირებენ ახლომომავალში ველისციხელები.

ილიას, ეტყობოდა, სათქმელი ძალზე ბევრი ჰქონდა. თავმოსაწონადაც ჰქონდა საქმე, ხუთი თითივით იცოდა კოლმეურნეობის ავიცა და კარგიც. ადრე მეცხოველეობა და მეფრინველეობა ჩამორჩენილ და არარენტაბელურ დარგებად ითვლებოდა. 28 ქურისა და 900 ფრთა ფრინველის ნაცვლად ახლა 100-ზე მეტი ძროხა და 25 ათასამდე ფრთა ფრინველი ჰყავთ ველისციხელებს. ყოველ ორ თვეში მოსახლეობაზე ათასობით კილოგრამ ფრინველის ხორცს ჰყიდიან.

1977 წელს მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის რესპუბლიკაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კოლმეურნეობას საჩუქრად ავტომანქანა „ვოლგა“ გამოუგზავნა. ეს დამსახურებული ჯილდო კოლმეურნეობამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვების შედეგად მიიღო.

ვინ ჩამოთვლის ველისციხელი მოწინავე მევენახეების, მეფრინველეების, მესაქონლეების გვარებს. შარშან რესპუბლიკაში ყველაზე უკეთესი რეკორდული მაჩვენებლები ველისციხელმა მევენახეებმა მოიპოვეს.

ამჯერად აქცენტი ახალგაზრდებზე და მათს ახალგაზრდულ რგოლზე გავამახვილეთ. დღეს ჩვენი ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობის დასაყრდენი და საიმედო ძალა უნდა გახდეს. მათ უნდა ვენდოთ, იგრძნონ მეტი პასუხისმგებლობა და მოვალეობა დაკისრებული საქმისადმი. მაშინ გამოგყვებიან, აგიწყობენ ფეხს. ასეთს იცნობენ მანანა ნესუაშვილს და მის ახალგაზრდულ რგოლს თანასოფლელები. ველისციხეში ხუთი კომკავშირული რგოლია, ერთი მათგანის მექანიზატორი მანანა ნესუაშვილია. გოგონა პატარაობიდანვე ტრაქტორისტობაზე ოცნებობდა. დღედაღამ იმის ფიქრში იყო, როდის გახდებოდა სრულწლოვანი, რომ ტრაქტორის მართვის უფლება მოეპოვებინა. და განა მიზნის ასრულება ძნელია, როცა მი-



სი სურვილი ბავშვობიდანვე გიღვივის გულში?

ორღობეში ჩასაფრებული 12-13 წლის გოგონა გულის ფანცქალით ელოდებოდა მეზობელი ტრაქტორისტი ბიჭის გამოჩენას, რომ წამსვე მის გვერდით მოკალათებულიყო. ამას ისეთი ხალისითა და გატაცებით ყვება მანანა, რომ მის ნათქვამში ოდნავაც არ შეგეპარებათ ეჭვი. ფაკულტეტიც შესაბამისი — მექანიზაციისა — აურჩევია. ეს არჩევანი მარტო სწავლის სურვილის ასრულებისთვის არ გეგონოთ. არა, ეს მისი გატაცება, მისწრაფებაა.

შემთხვევითი არ იყო, ველისციხის მე-13 პროფტექნიკური სასწავლებლის ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანის სპეციალობა რომ მიიღო. ჯერ ისევ ამ სასწავლებელში სწავლობდა, კონკურსებში რომ მონაწილეობდა. პირველად ქ. წულუკიძეში გამართულ მხვნელ-მექანიზატორთა კონკურსში პირველ ადგილზე გამოვიდა და ოქროს საათი, კომკავშირის წულუკიძის რაიკომისა და პროფტექნიკური განათლების კომიტეტის ქების სიგელებით დააჯილდოეს.

წარმატებას წარმატება მოჰყვა. ასე იცის თავიდანვე წინ კარგად გადადგმულმა ნაბიჯმა. შარშან ზაფხულში ჩელიაბინსკის ოლქის ჩებარკულის რაიონში საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამართულ მხვნელ-მექანიზატორთა მე-8 საკავშირო კონკურსში მონაწილეობდა. საქართველოდან ორნი იყვნენ. გურჯაანელი მანანა ნესუაშვილი და თელაველი ამირან ქურციკაშვილი. კონკურსის პირობები ამჯერად შედარებით რთული იყო. მოცემული ფართობი განსაზღვრულ დროში, ყველა პირობის ზუსტი დაცვით, უნდა მოეხნათ. ასე ვთქვათ, მოხნულის სილამაზესაც კი ექცეოდა ყურადღება. აქ საქართველოდან წარგზავნილმა ორივე მონაწილემ ისახელა თავი. ამირანი სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით დააჯილდოეს, მანანამ კი კონკურსისათვის გათვალისწინებული ყველა პირობა მოცემულ ვადაზე ადრე შეასრულა და, როგორც შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, შეჯიბრების პრიზი მიაკუთვნეს, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა და „ოქროს თავთავის“ სამკერდე ნიშანზე წარადგინა.

ამ მადლიან მხარეში, ამ ბარაქიან რაიონში, ამდენ გამრჯე ადამიანების გვერდით გაზრდილი გოგონა სხვანაირი ვერც კი წარმომედგინა, იგი ჯანსაღი და ხალისიანია, სხივჩამდგარი მეოცნებე თვალები უციმციმებს... უსაზღვროდ მოტრფიალეა თავისი საქმისა... და იცით რა გვითხრა? — არ გეგონოთ მექანიზატორობა „სასპეკულაციოდ“ ან მოდისთვის ამერჩიოს; არც იმიტომ, რომ უმაღლესი განათლება მივიღო და მერე სადმე სამანქანო ან სატრაქტორო სადგურის რომელიმე კაბინეტში ჩავიკეტო, არა, ტრაქტორი ჩემი ბავშვობის სურვილის ასრულებაა.

ველისციხის კოლმეურნეობამ სპეციალურად მანანასთვის მოითხოვა „დტ —75“, უნდათ რომ გოგონას ამდენი წლის სურვილი შეუსრულონ. მანანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ისწავლოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, დარჩეს თავის კოლმეურნეობაში სამუშაოდ და ველისციხელი მექანიზატორის მანანა ნესუაშვილის სახელი და გვარი რესპუბლიკის მშრომელებს გააცნოს და მის ფარგლებს გარეთაც გაიტანოს. ქალიშვილი დღენიადაგ გრძნობს ადგილობრივი და რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკების უდიდეს მხარდაჭერასა და დაფასებას. დღეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ზღვარი წაიშალოს სოფელსა და ქალაქს შორის, ახალგაზრდებს შეექმნათ ყველა პირობა, სოფელში დარჩნენ საცხოვრებლად, თვალი არ გაურბოდეთ ქალაქისაკენ. ალბათ ამის დასტურია, რომ აღმავალი გზით დაიწყო ცხოვრება მანანა ნესუაშვილმა. წინ დიდი მიზნებია მისაღწევი, დიდი ოცნებები ფრთაშესასხმი. მანანა ხომ მხოლოდ ცხრამეტი წლისაა.

**ნანული ბუკია**

არკადი ლვოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღაური

## მოთხრობა

შვიდი წლის საშა ჩეჩელნიცკი განთიადისას გარდაიცვალა. წინასაღამოს მამის სისხლი გადაუსხეს, ხოლო თორმეტ საათზე მამას დაურეკეს: სასწრაფოდ მოდით საავადმყოფოშიო.

თორმეტ საათზე ჯერ კიდევ იყო რაღაც იმედი: ექიმი საშას საწოლზე ჩამომჯდარიყო და ახსნა-განმარტებას იძლეოდა, როგორც კი კრიზისი უმაღლეს წერტილს მიაღწევს, მაშინვე ისევ დაეცემა და ბიჭი სულს მოითქვამსო.

საშას ჟანგბადი ასუნთქებინეს, ქაფურისა და კორდიამინის ნემსებიც გაუკეთეს, მაგრამ უმაღლეს წერტილზე ასული კრიზისი არა და არ იხევდა უკან: ბავშვს მაინც სული ეხუთებოდა, ხელებს უწესრიგოდ აქნევდა, შემდეგ მოულოდნელად თითქოს ჩაწყნარდებოდა, რაც სულისხუთვასა და კონვულსიაზე უფრო საშინელი იყო.

სამ საათზე საშა ე. წ. „ხელოვნური ფილტვების“ აპარატში — ლითონის ვეებერთელა ყუთში გადაიყვანეს. ყუთს მინის სახურავი და მონიკელებული მილები ჰქონდა. ბიჭის ყურთან სისხლში ჟანგბადის მაჩვენებელი ხელსაწყო ოქსიგემომეტრი მიამაგრეს.

ხუთ საათზე — განთიადამდე თხუთმეტი წუთით ადრე, საშას თავზე ზეწარი გადააფარეს.

მამამ ზეწარი მოგლიჯა, იატაკზე მოისროლა და შემდეგ ფრთხილად, თითქოს ეშინია, არ გააღვიძოსო, თავი აუწია და ზედ თავით დაეყრდნო.

ერთი წუთის თუ უფრო ნაკლები დროის შემდეგ ბიჭი ცახცახმა აიტანა, სული შეეხუთა. ექიმმა მაშინვე განკარგულება გასცა — გადაიყვანეთ, საწოლზე დააწვინეთ და ნიტროგლიცერინის აბი ჩაუდეთ ენის ქვეშო.

ბიჭს თავზე ისევ გადააფარეს ზეწარი. შვიდ საათამდე მისთვის ხელი არავის უნდა ეხლო — საავადმყოფოს წესებით, გარდაცვლილი ორი საათის განმავლობაში იქვე უნდა დაეტოვებინათ, სადაც გარდაიცვალა.

ექთანი, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში საშას ნემსებს უკეთებდა და აბებს აყლაპებდა, და დარწმუნებული იყო, ვუშველითო, კუთხეში მიმდგარიყო და ბავშვივით ხმამაღლა ქვითინებდა. ექიმმა არ გააჩერა, მხოლოდ მხარზე ხელი დაადო და უთხრა, შპრიცები მოამზადეთ და ელექტროქურის გამორთვა არ დაგავიწყდეთ, წყალი რომ ადუღდებაო.

ექთანი მოსცილდა კუთხეს, ბიჭს მიუახლოვდა, ზეწარი გადახადა, თავი გააქნია და ხელახლა ატირდა. სუნთქვა შეეკრა, ისტერიისწინა კრუნჩხვაც მოერია და თავი რომ შეეკავებინა, თითზე იკბინა. ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ფიზიკური ტკივილი მიეყენებინა საკუთარი თავისათვის. თავისუფალი ხელით ბავშვს სახეზე ეფერებოდა. ცხვირზე, ტუჩებზე, თმაზე ხელს უსვამდა უსინათლოსავით და თან თავს იქნევდა.

ყუთში წყალი ადუღდა, შემდეგ გამოჟონა და ქურის სპირალზე აშიშინდა. ექთანმა სწრაფად გამოგლიჯა ჩანგალი შტეპსელიდან, თხუთმეტიოდე წამის განმავლობაში შიშინს უსმენდა და ორთქლს აკვირდებოდა, შემდეგ შიშველი ხელით აიღო ყუთი და იმ წამს ხელიდან გააგდო. დიდი, ათ კუბურ სანტიმეტრიანი შპრიცები დაიმსხვრა. მხოლოდ ერთი გადარჩა, ყველაზე პატარა, სამკუბიანი.

ექიმი შემოვიდა, აქ ატეხილი ხმაურის მიზეზი იკითხა და უბრძანა სასწრაფოდ წასულიყო მეცხრე პალატაში პალამარჩუკთან. მას შეტევა აქვს და ქაფურია საჭიროო. მომვლელსაც მისცა დავალება — ჟანგბადის ბალიში მოიტანეო.

საშას დედა სამშობიარო სახლში იწვა. მას არაფერი უთხრეს შვილის ავადმყოფობის შესახებ, რადგან ღელვა და შიში მეტად ვნებს ფეხმძიმეს და წინასწარ არავინ უწყის მათი შედეგები. გუშინწინ გოგონა შეეძინა. ყველა იქ მყოფი ერთხმად აღიარებდა, იშვიათი სილამაზის ბავშვიაო. ახალგაზრდა დედა, რომელსაც დეკემბერში ოცდაშვიდი წელი უსრულდებოდა, სიცილით ეუბნებოდა ყველას, ახლა, როცა ორი შვილი მყავს — ქალ-ვაჟი, საზოგადოების წინაშე უკვე ვალმოხდილად ვთვლი თავსო.

სამშობიარო სახლში არავის უშვებდნენ. მელოგინენი, ანდა, უბრალოდ პაციენტები, რომელთაც ადგომისა და სიარულის ნება ჰქონდათ, თვითონ მიდიოდნენ ფანჯრებთან. დანარჩენები, როცა კი შინაურები რაიმეს მოუტანდნენ, წერილებს გზავნიდნენ. პალატიდან წერილები ჩვეულებრივად ცარიელ ჭურჭელთან ერთად ბრუნდებოდა. წინასწარ მოფიქრება და ტექსტის ადრევე შედგენა იყო საჭირო, თორემ მცირე შეყოვნებაზეც კი მომვლელები უკმაყოფილო ბუზღუნით იკლებდნენ ქალებს: აბა ერთი თქვენ გარბოდეთ მეოთხე სართულზე, მაშინ გაიგებდით დილიდან საღამომდე სართულებზე სირბილის გემოსო.

დედამ მოიწერა, სამი დღის შემდეგ ადგომის ნებას მომცემენ და, მამა საშას რომ მოიყვანს, პატარა დაიკოს ვაჩვენებო; ჯერჯერობით კი ნუ ზარმაცობს და თავისი ხელით მოსწეროს დედიკოს თუ როგორ სწავლობს, ხომ არ დარდობსო;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამამ უპასუხა, საშა ცნობილი ზარმაცია და წერა ეზარება, მაგრამ სწავლით კარგად სწავლობს და, რომ დედიკომ არაფერზე ინერვიულოს, ოჯახში ყველაფერი თავის რიგზეაო.

— ილია პეტროვიჩ, — უთხრა ექთანმა ექიმს, — დედამ უნდა გაიგოს შვილის სიკვდილი.

ექიმი დუმდა.

— ილია პეტროვიჩ, — გაუმეორა ექთანმა, — დედამ უნდა იცოდეს შვილის სიკვდილის ამბავი.

ექიმი ფანჯარაში იცქირებოდა. მესერს იქით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჯერ კიდევ დილაადრიან, ხანგამოშვებით გიტარას აჟღარუნებდნენ. გიტარის ყოველ გახმაურებას ხანმოკლე ხარხარი მოჰყვებოდა ხოლმე.

ექიმი კვლავ დუმდა და, მაშინ ექთანმა უთხრა, მე თვითონ წავალ საშას დედასთანო, მამის გაგზავნა არ შეიძლება, რადგან გული ძლიერ ცუდად აქვს და რისკის გაწევა არაფრით არ იქნება გამართლებულიო.

— არა, — თავი გაიქნია ექიმმა, — ჯერ ნურაფერს ვეტყვით. ხვალამდე მოვიცადოთ.

— კარგით, — თავი დაუქნია ექთანმა, — დაე ხვალ იყოს, მე თანახმა ვარ. როგორც კი შეტევამ გაუარა, საშას მამა ადგა და შვილთან მისვლის ნებართვა ითხოვა, ექიმმა უპასუხა: არავითარ შემთხვევაშიო და ხელი მკაცრად გააქნია.

— ექიმო, იქ ხომ ჩემი შვილია.

— ძვირფასო, — თითქმის ჩურჩულით უთხრა ექიმმა, — არ შეიძლება, არ არის საჭირო, გამიგონეთ, არ არის საჭირო.

ექთანმა მამას ხელი გამოსდო და ექიმის კაბინეტში წაიყვანა. თან გზადაგზა ეუბნებოდა, თქვენ მამაკაცი ხართო, სულ ერთია არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება, ცოლსა და ქალიშვილზეც უნდა იფიქროთო. ისიც თავის ქნევით ეთანხმებოდა, თითქოს ექთანის ყოველი სიტყვა მოსწონსო, კაბინეტში კი, როცა ექთანს ეგონა, უკვე შევაგნებინე და ყველაფერი კარგად არისო, საშას მამა უცებ წაიქცა. მუხის პარკეტის იატაკზე ყრუ გრუხუნი გაისმა.

ექთანმა მაშინვე ექიმი იხმო. მანაც აუხსნა რა უნდა გაეკეთებინათ. თანაც დასძინა, დამიძახეთ, თუ უარესად შეიქნესო და ავადმყოფისაკენ გაეშურა. ექთანმა მომვლელს გამოუძახა და კაბინეტში დატოვა, რადგანაც საქმე თავზე საყრელად ჰქონდა და მეტს ველარ დარჩებოდა.

რვა საათზე საშა ურიკაზე დააწვინეს და პროზექტურაში გადაიტანეს. იქ გაკვეთეს და დასკვნა დაწერეს. ექიმმა დასკვნა წაიკითხა და პროზექტორს ჰკითხა, ამ გამოკვლევის შედეგები თუ იციან ლაბორატორიაში იმათ, ვინც სისხლის ანალიზი აიღოო. პროზექტორმა უპასუხა, გამოკვლევის შედეგები ექიმსა და ლაბორატორიას ერთდროულად გავუგზავნეო.

ექიმმა სახე ხელებში ჩამალა, შემდეგ ქუთუთოები მოისრისა და ჩაილაპარაკა:

— ეს დაუჯერებელია.

პროზექტორმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ამოიოხრა, რადგან ესმოდა ექიმის მდგომარეობა.

გასვლისას ექიმი უცებ კართან შეჩერდა, ხელები გაშალა და დაჟინებით მიაცქერდა პროზექტორს, თითქოს მისგან კიდევ რაღაც უთქმელს ელოდა. პროზექტორმაც გაშალა ხელები, რაც ნიშნავდა: არა, აღარაფერია სათქმელიო.

მეორე დღეს ექიმმა ექთანს უთხრა, თვითონ წავალ სამშობიაროში და საშას დედას მოველაპარაკებიო. ექთანმა ხელახლა შესთავაზა თავისი სამსახური: ის ქალია, იქნებ უკეთესია მე მომანდოთ ეგ საქმეო. ექიმმა მადლობა გადაუხადა და თან გაღიზიანებით უპასუხა: ასე სჯობსო.

საშას დედა თავს კარგად გრძნობდა, დილით შეატყობინეს, ქმარმა დაგირეკა, მაგრამ აღარ შეგაწუხა, შემოგითვალათ, სამი დღით მივლინებაში მივდივარ და საშას გამო ნუ ინერვიულებ, ბიჭს ალა მამიდა მიხედავსო.

— წარმოგიდგენიათ?! — გულისწყრომას გამოთქვამდა საშას დედა, — რა გულქვა ხალხია: რატომ მაინცდამაინც მისი ქმარი უნდა წავიდეს მივლინებაში. საერთოდ კი, ეს მივლინებები სანახევროდ დროისა და სახსრების ტყუილი ფლანგვაა. მაგრამ მას ახლა სხვა რამ აღელვებდა: რომ ჩვენს დროში კიდევ არიან უტაქტო, გულქვა ადამიანები!

ყველამ მხარი დაუჭირა და, გარდა ამისა, აზრიც კი წარმოიშვა, რომ საკონსტრუქტორო ბიუროში მთელი პალატის სახელით პროტესტი გაეგზავნათ. დიახაც, დავწერთ პროტესტსო, თქვა საშას დედამ, მაგრამ შემდეგ თვითონვე ჩაიქნია ხელი: სამშობიაროდან გაგზავნილი პროტესტი საკონსტრუქტორო ბიუროში სიცილად არ ეყოფათო.

საღამოს ხუთი საათის შემდეგ ძიძებს ახალშობილები მიჰყავდათ ხოლმე. მკერდზე მიიკრავდნენ და თან მოღიმარი სახით ათვალიერებდნენ. თუ რომელიმე ყრმათაგანს შეატყობდნენ, რომ დედის რძე ბევრი მიეღო, ჩურჩულით ეალერსებოდნენ: „ოჰ, შე ლოთო, შენა!".

რვა საათამდე ქალები თავისუფლები იყვნენ. ყველა საწოლზე იყო რადიობალიში, მაგრამ თუ ვისმეს მუსიკის ან სხვა გადაცემის მოსმენა სურდა, შინიდან მოტანილი ტრანზისტორით უსმენდა. ვეშაპთმონადირეთა ცოლებს საწოლებთან იაპონური თხუთმეტტრანზისტორიანი, ორ გამანათებლიანი და თვითმარეგულირებლიანი რადიომიმღებები „სონები" ედგათ. საშას დედა ამტკიცებდა, ჩვენებური „სპიდოლა-10" არაფრით ჩამოუვარდებაო, ხოლო რაც შეეხება აკუსტიკას, ჩვენსას უკეთესი აქვს, ვიდრე იაპონურსო. ამის დასამტკიცებლად თავისი სპიდოლა ჩართო და ბევრი დაეთანხმა, რომ „სპიდოლა" მართლაც სჯობსო.

მორიგე ექიმი მოვიდა და თქვა, თუ შეიძლება წყნარადო, ვისაც გადაცემის მოსმენა სურს რადიობალიში ჩართოს, ხოლო ტრანზისტორები შეინახოს — არ უნდა დაივიწყოთ, რომ აქ საავადმყოფოაო.

საშას დედამ მიმღები გამორთო, მაგრამ გავიდა თუ არა ექიმი, ისევ ჩართო და გაიცინა:

— თქვენ გგონიათ, მართლა მუსიკა უშლის? უნდა რომ გვაჩვენოს, უფროსი ვარ და თანაც მეტად მკაცრიო... სხვა ქალებმაც გაიცინეს და გაიხსენეს შემთხვევები თავიანთი ცხოვრებიდან. ბევრმა შემთხვევამ დაადასტურა საშას დედის სიტყვები, რომ მამაკაცებს უფროსობა უყვართ, უნდათ თავი მოგვაჩვენონ, ჩვენი სიმკაცრე ნებისყოფის სიძლიერის შედეგიაო, სინამდვილეში ყველა სიძნელე ქალის მხრებზე გადადის, და როცა საქმე მეტად გაჭირდება ხოლმე, ისევ ცოლს უხდება ქმრისათვის ნუგეშისცემაო.

დაახლოებით რვა საათზე პალატაში მორიგე ექიმმა შემოიარა, ამჯერად ტრანზისტორებზე აღარაფერი უთქვამს. საშას დედას და კიდევ ერთ სხვა ქალს სთხოვა, გამომყევითო. ის ქალი ათი წუთის შემდეგ გათავისუფლდა — ექიმმა გასინჯა და თქვა, ყველაფერი კარგად მიდისო, საშას დედას კი შეუგვიანდა. მორიგე ექიმის გარდა კაბინეტში კიდევ ვიღაც ექიმი იყო, — კონსულტანტი სხვა კლინიკიდან.

როცა საშას დედაც დაბრუნდა პალატაში, პირველი ქალი თითით დაემუქრა კონსულტანტს: ვიცნობთ ჩვენ ამ კონსულტანტებსო.

საშას დედა უხმოდ დაწვა. საბანი ნიკაპამდე გადაიფარა, თვალები დახუჭა, შემდეგ გაახილა, კვლავ დახუჭა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ჩემი ვაჟიშვილი ცუდად ყოფილა, ექიმი მოვიდა.

კედლის მიღმა ბავშვი ტიროდა. ქალები შეშფოთებულნი უსმენდნენ, თითქოს უნდოდათ, ხმით გამოეცნოთ, ვისი ბავშვი ტიროდა.

ვეშაპთმონადირის ცოლმა ჩაიჩურჩულა:

— საწყალი, ალბათ მუცელი აწუხებს!

ღამით დიდი სინათლე გამორთეს და მხოლოდ ლურჯი ნათურა დატოვეს კარს ზემოთ.

ექთანმა ექიმს მოახსენა, მორგში შევიარე და საშას შესახებ გავაფრთხილე: დედამისი სამშობიარო სახლშია და ამიტომ რამდენიმე დღეს ბიჭის შენახვა მოგიწევთო, მეთვალყურემ მიპასუხა: რამდენ ხანსაც საჭიროა, შევინახავთ, ოღონდ მთავარი ექიმის განკარგულება მოგვიტანეთო.

— კარგით, — თავის ქნევით დაეთანხმა ექიმი, — წადით კანცელარიაში და იქ დაგიწერენ. კიდევ იცით რა, დარეკეთ ლაბორატორიაში და გაიგეთ, არის თუ არა გამგე ადგილზე.

გამგე ადგილზე აღმოჩნდა. ექიმმა მეპრობამატის აბი ამოიღო და სწრაფად ჩაიდო პირში, ლაბორატორიისაკენ მიმავალმა ერთი აბი კიდევ ამოიღო — ახლა თვითონ იყო ვალდებული გული გაემაგრებინა.

როცა ექიმი მოვიდა, ლაბორატორიის გამგემ გამოუძახა ლაბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანტს, რომელმაც საშა ჩეჩელნიცკისა და მისი მამის სისხლის ანალიზი აიღო. საუბრის დაწყებამდე გოგონა ატირდა, გამგემ მკაცრად უთხრა: გაჩერდით, სამუშაოზე იმყოფებით და თქვენი ცრემლები არავის სჭირდებაო. მანაც გულმომკვდარმა ამოიოხრა, ცრემლები მუშტებით მოიწმინდა; ქუთუთოებს ქვეშ რუხი ლაქები დააჩნდა.

ექიმი მეთოდურად, დიდი პაუზებით არტყამდა თითებს მაგიდაზე. გოგონა პროთეზისმაგვარი, ცარიელი თვალებით მისჩერებოდა მისი თითების მოძრაობას და ექიმს არავითარი შეკითხვის სურვილი არ დაბადებია. ბოლოს ჰკითხა: როგორ მოხდა, რომ ანალიზი საკმაოდ ზედმიწევნით არ იყო გაკეთებული? გოგონამ უპასუხა, ყველაფერი სასწრაფოდ გაკეთდა, თანაც ვიცოდი ბიჭი უნივერსალური AB ჯგუფის რეციპიენტი იყო და თანაც უცხო დონორისა კი არა— მხოლოდ საკუთარი მამის სისხლი უნდა გადაესხათო.

ექიმს დაავიწყდა მეპრობამატის აბები, მაგიდას ხელი დაჰკრა და წამოხტა: რა შუაშია აქ უცნობი თუ ნაცნობი დონორი, როცა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო ლაპარაკი?!

გამგემ წყნარად უთხრა: ექიმო, ყველა თავისას მიიღებს, მაგრამ განა არ ხდება ხოლმე, რომ ჯანმრთელი მამის სისხლს ბავშვს წინასწარი ანალიზის ჩაუტარებლადაც აძლევენ?

ჩეჩელნიცკი კი სრულიად ჯანმრთელია, თავად ექიმმაც კარგად იცის, რომ ჩეჩელნიცკის ჯანმრთელობა აქ არაფერ შუაშია.

დიახ, ექიმმა იცოდა, რომ ჩეჩელნიცკის ჯანმრთელობა იქ არაფერ შუაში იყო. მას კარგად ესმოდა ლაბორანტი გოგონასიც, რომელიც წინასწარი შეგონებით აკეთებდა ანალიზს, რადგან მისი წინასწარ შეგონება მთლად ბუნებრივი იყო — მამა ვაჟიშვილს სისხლს აძლევს; მაგრამ აი, ბიჭი მოკვდა და მისთვის სიცოცხლის დაბრუნება არავითარ ადამიანურ ძალას არ შეუძლია.

— წადით, — უთხრა გამგემ ლაბორანტს. ექიმიც იმავე წუთს გამოვიდა. არავითარი განმარტება აღარ სჭირდებოდა, და, როცა გამგემ მისი შეჩერება სცადა, ექიმმა შემოუბრუნებლად ჩაიქნია ხელი.

პალატაში, სადაც საშას დედა იწვა, ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა. ძუძუს მოწოვებამდე ბავშვები ენერგიულად და გამყივანად ტიროდნენ; ხოლო ქალები მოთმინებით უხსნიდნენ, სირცხვილია ასე ხმამაღლა ყვირილი, ყველა იმას იტყვის, რა ცუდი ბავშვიაო.

საშას დედას ძუძუ ხელით ეჭირა და ბავშვის ტუჩებს ზედ ადებდა. გოგონა ხმის ჩახლეჩამდე ტიროდა, მანამდე, სანამ დედამ ძალით არ ჩაუდო ძუძუ პირში. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ისევ აყვირდა, ამჯერად დედა რამდენს არ ეცადა, მაგრამ ბავშვმა ძუძუს პირი აღარ დააკარა.

მაშინ ვეშაპთმონადირის ცოლმა ურჩია: ვინმემ სხვამ მოაწოვოს, დედის ღელვა ბავშვსაც გადაედო, მხოლოდ იყვირებს და არ მოსწოვსო.

საშას დედა საწოლზე ისე იჯდა, ვერ გაიგებდით—ესმოდა თუ არა ვეშაპთმონადირის ცოლის სიტყვები. მაშინ სხვა ქალმა მესამე საწოლიდან, რომელმაც უკვე დააპურა თავისი ბავშვი, უთხრა: უკვე თავისუფალი ვარ და შენს ბავშვსაც მოვაწოვებ ძუძუს, რძე კი იმდენი მაქვს, სამ ბავშვს ეყოფაო.

საშას დედამ თავი ასწია, იმ ქალისკენ გაიხედა, სამი ბავშვის სამყოფი რძე რომ ჰქონდა, და კვლავ ფანჯარას მიაჩერდა.

გოგონამ ათიოდე წუთს კიდევ წამოიტირა და ჩაიძინა. ძიძა მოვიდა და ბავშვის გამოსართმევად ხელები გაუწოდა, საშას დედამ შეშინებულმა შეხედა, გოგონა გულზე მიიკრა და საწოლსა და ფანჯარას შორის კუთხეში მიდგა. ბავშვი მთლად სველია და, თუ გინდა, სახვევებს აქ მოვიტანო, უთხრა ძიძამ.

სახვევები მოიტანეს და იქვე პალატაში გააკეთეს რაც საჭირო იყო. გოგონამ წამოისლუკუნა, ტუჩები აიცმაცუნა, წამიერად ასწია ქუთუთოები: ძლიერი სინათლისაგან გუგები ქინძისთავებივით პატარა გაუხდა და ქუთუთოები კვლავ დასწია. ძიძამ აუხსნა: ყველას ასე ემართება, თვითონ კი ღრმად სძინავთო.

ვახშმის შემდეგ საშას დედა ექიმის კაბინეტში იხმეს. მაგიდასთან იგივე ექიმი იჯდა, წინა დღით რომ მოვიდა. მას ხელში საშას ავადმყოფობის ისტორია ეჭირა და, თუმცა ქალი უკვე გვერდით ედგა, მაინც ისტორიას ფურცლავდა. მორიგე ექიმმა ქალს სკამი დაუდგა. ქალი არ დაჯდა. ექიმმა იდაყვებში მოჰკიდა ხელი და ისე დასვა. შემდეგ ახალმოსულ ექიმს უთხრა, გინეკოლოგიურში ჩავალ და ოცი წუთის შემდეგ დავბრუნდებიო.

ისინი მარტო დარჩნენ. ექიმმა ავადმყოფობის ისტორია გვერდზე გადადო, უცებ თითქოს მაგიდა და კედლები შეირხა, და ქალი მარჯვენა მხრით საზურგეს მიეყრდნო, რომ არ დავარდნილიყო.

— დიდი ხანია გათხოვილი ხართ? — ჰკითხა ექიმმა.

— რვა წელია—უპასუხა მან,—ვაჟი პირველივე წლის დასასრულს შეგვეძინა. საშა როგორ არის, ექიმო?

— საშა საავადმყოფოშია, — უთხრა ექიმმა, — მას კორონაროსპაზმი აქვს. მამამ საშას თავისი სისხლი მისცა.

— საშა როგორ არის, ექიმო! — გაუმეორა ქალმა.

— საშა აღარა გყავთ. საშა გარდაიცვალა... შოკისაგან.

— მკვლელებო! მკვლელებო! — დაიყვირა ქალმა, — თქვენ მოჰკალით ჩემი ვაჟი!

— შოკის მიზეზი შეუთავსებლობა იყოო — განუმარტა ექიმმა.

— მოჰკალით, ხომ? მოჰკალით! — იგი გაჰკიოდა და თან თავში ხელებს იშენდა.

— მოვკალით? — გაიმეორა ექიმმა, — თქვენ იცით თუ არა, რომ სისხლი, რომელიც საშას გადავუსხით, მამისა არ იყო.

ქალმა თავი ასწია. ამღვრეული თვალებით შეხედა ექიმს.

— მამისა არ იყო? მაშ ვისი იყო?

ექიმი პირდაპირ უცქერდა. ქალმაც არ მოარიდა თვალი, თითქოს ელოდებოდა, აი ახლა იტყვის ექიმი: არა, ეს ტყუილია, საშა არ მომკვდარა, იგი სიკვდილის პირას არისო. მაგრამ ექიმი დუმდა და ქალი მიხვდა, რატომ დუმდა ექიმი.

— მკვლელებო! — ჩურჩულით თქვა ქალმა, — თქვენ გინდათ, რომ...

— არა, — შეაწყვეტინა ექიმმა, — სხვა შემთხვევაში თქვენ შეგეძლოთ გაგვეფრთხილებინეთ, აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა.

— რისი გაფრთხილება? თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს საშას მამა არ არის? რომ მე ქმარს ვატყუებდი, შვილს ვატყუებდი?

— არა! — დაიყვირა მან, — არა! არა!

ექიმს ახლა თავისი ექთანი გაახსენდა და ინანა, რომ თვითონ წამოვიდა. ბოლოსდაბოლოს, რაც მთავარია საშა მოკვდა და ამის შეცვლა არავის შეუძლია. დანარჩენი...

— ექიმო, — ჩაიჩურჩულა ქალმა, — არ მინდა სიცოცხლე, მეც მომკალით!

ექიმმა კვლავ აიღო ავადმყოფობის ისტორია — შვიდი წლის ალექსანდრე ჩეჩელნიცკის ავადმყოფობისა და გარდაცვალების ისტორია. გადაშალა იქ, სადაც პროზექტორის დასკვნა ეწერა, ჩაფიქრდა, შემდეგ ფურცელი მილივით დაახვია და თქვა:

— თქვენ არ მოკვდებით, თქვენ ქალიშვილი გყავთ, მეუღლე გყავთ. თქვენ უნდა იცოცხლოთ.

— ვალდებული ვარ, ჩაილაპარაკა ქალმა, — ვალდებული.

მეორე დღეს იგი გამოწერეს. ქმარი მოვიდა.

ქალმა ფანჯრიდან გადაიხედა, თავიანთი „ზაპოროჟეცი“ დაინახა. უნდოდა ქმრისათვის დაეძახა, მანქანის კარი დახურეო, მაგრამ ფანჯრის ორმაგ მინაში რას გააგონებდა.

იგი მისაღებში ელოდებოდა ცოლს. ექიმმა ქალიშვილის დაბადება მიულოცა.

— გმადლობთ, კიდევ დიდხანს დაიგვიანებს? — ჰკითხა ექიმს.

— არა, ახლავე გამოვა, — უპასუხა ექიმმა.

იგი ძიძების თანხლებით გამოვიდა. ერთს ბავშვი ეკავა, მეორეს— მოწნული ჩანთა, თერმოსით, პლასტმასის ქილებითა და კიდევ სხვა ნივთებით სავსე ჩანთა.

ძიძა, რომელსაც ბავშვი ეჭირა, წინ გამოვიდა, მამას გაუღიმა. მან კი სწრაფად დასტაცა ხელი ნივთებს და გასასვლელისაკენ გაემართა. ექიმსა და ძიძას საშას დედის გაცილება უნდოდათ, მაგრამ ქალმა მადლობა გადაუხადა ყველაფრისათვის — ყურადღების, სიკეთის, კარგი მოვლისათვის. აიყვანა ბავშვი, ხელი დაუქნია, კარებთან შემობრუნდა, კვლავ დაუქნია ხელი და გავიდა.

ძიძები ტიროდნენ. ექიმი მოღიმარი სახით თითს უქნევდა: მთავარია გამაგრდეო. მანქანასთან მიახლოებისას მუხლებში სისუსტე იგრძნო, თითქოს სადაც არის გული წაუვაო. ძლივს გამოაღო კარი, ქმარს ბავშვი გადასცა. ქმარმა ძლივს მოასწრო ბავშვის გამორთმევა და... მანქანა თითქოს ხრამისაკენ დაექანა, საიდანაც პირდაპირ ზღვაში ჩაინთქმებოდა. უცებ კი არ გადაეშვა, არამედ, თითქოს საჰაერო ბალიშზე დგასო, ნელა ეშვებოდა ძირს. ქალმა დაიკივლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ლია სვანიძე

„ბავშვი გადმომიგდე, ბავშვი უნდა გადარჩეს!“ და ამ დროს მანქანა წყალში ჩაიმალა. უკანასკნელი შეგრძნება ისეთი იყო, თითქოს ბავშვი მანქანის გვერდით მიჰქროდა და მასთან ერთად ჩაიძირა...

იგი მანქანაში გამოერკვა. ბავშვი ტიროდა. მამამ გულზე მიიკრა და ცდილობდა დაემშვიდებინა. ცოლისათვის არც უკითხავს, თავს როგორა გრძნობო, ისე გადააწოდა ბავშვი. ძრავა ჩართო და წავიდნენ.

ერთ-ერთ შესახვევში, სადაც ხალხი არ იყო, მანქანა გააჩერა.

— არა, — დაიყვირა ქალმა და ბავშვი გულში ჩაიკრა, — არა.

ქმარი ვერც ხედავდა მას. თავით მინას მიჰქროდა და კანკალებდა. ქალმა დიდხანს უყურა. ბოლოს შიშმა გაუარა. უნდოდა ქმარსაც შეეხედა თვალებში და როცა ბოლოს და ბოლოს ქმარმა შეხედა, აქვითინდა. ქმარი მოეხვია. ქალმა ანგარიშმიუცემლად წარმოთქვა ვაჟიშვილის სახელი. ხუთი წუთის შემდეგ, როცა ყველაფერმა გაიარა, წყნარად წარმოთქვა:

— სჯობდა მე მოვმკვდარიყავი, შენთვის ასე აჯობებდა.

ორი დღის შემდეგ საშა დაკრძალეს. დაკრძალვას ექიმი და ექთანი დაესწრნენ. სკოლიდან ცოცხალი ყვავილების გვირგვინი მოიტანეს, საშას ამხანაგებიდან არავინ მოსულა. მასწავლებლებმა და დირექტორმა თქვეს: პატარა ბავშვებს ტრავმა არ უნდა მივაყენოთო.

მიწა მიაყარეს. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მხოლოდ საშას დედა და მამა დარჩნენ. დედამ ყვავილები მოკრიფა და გვირგვინებს ზემოდან დააწყო.

ექიმი და ექთანი ქალაქში ავტობუსით ბრუნდებოდნენ.

— ექიმო, თქვენ უთხარით მამას საშას დაღუპვის მიზეზი?

ექიმმა თითებით გაწმინდა შეორთქლილი მინა.

— რატომ არ უთხარით სიმართლე? მან უნდა იცოდეს ეს, — ექთანი ამას გაბრაზებით ამბობდა და უნდოდა, რომ ექიმსაც შეენიშნა მისი გაბრაზება, — ან იქნებ თქვენ თვითონაც არ იცით სიმართლე?

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

— ისინი მაშინ შეცდნენ, როცა საშა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ისინი ახლა აღარ შეცდებიან. გენეტიკას არ შეუძლია ზუსტად თქვას, ვინ არის მამა, მაგრამ ვინ არ არის მამა — ამას კი გვეტყვის. გაითვალისწინეთ, დაიკო, გაიცინა უცებ ექიმმა და თან დაუმატა, — მე რა თქმა უნდა, ვხუმრობ.

ექთანმა მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, ზოგჯერ რა მწარედ ვზღავთ ხოლმე!

თარგმნა **ჟიულ საამიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული საბავშვო თეატრი 50 წლისაა



სცენა სპექტაკლიდან — „ქამუშაძის გაჭირვება“

საქართველოს თეატრალური ცხოვრების ისტორიას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი შეემატა — შარშან, 11 ნოემბერს თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრს 50 წელი შეუსრულდა, ხოლო იმავე წლის 25 დეკემბერს ეს თარიღი საიუბილეოდ აღინიშნა, ქართველი ინტელიგენციისა და ნორჩი მაყურებლის საყოველთაო ზეიმად გადაიქცა.

ქართული საბავშვო თეატრი 1928 წელს ჩამოყალიბდა. მისი პირველი რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი მაშინ ახალგაზრდა რეჟისორი ალექსანდრე თაყაიშვილი გახლდათ, რომელიც სიყვარულითა და ენთუზიაზმით შეუდგა მამულიშვილურ საქმეს. იგი ცდილობდა შეექმნა თეატრი, რომელიც ნორჩი მაყურებლის ესთეტიკურ აღზრდას, მის ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქედ ჩამოყალიბებას შეძლებდა.

როგორც ყველა საბავშვო თეატრის, ისე ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაარსებაც შესაძლებელი გახდა საბჭოთა წყობილების დროს. და აი, ახლადჩამოყალიბებულმა თეატრმა მუშაობა დაიწყო. მოამზადა საბავშვო სპექტაკლები „რობინ ჰუდი“ და „ფრიც ბაუერი“. პირველი სპექტაკლი „ფრიც ბაუერი“ 1928 წლის 11 ნოემბერს დაიდგა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. სწორედ ეს თარიღი აძლევს თეატრს დასაბამს.

სპექტაკლმა დიდი ინტერესი აღუძრა მაყურებელს. იმდენად დიდი იყო წარმატება, რომ მალე თეატრს შენობაც გამოუყვეს და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სახელიც დაუმკვიდრეს.

პირველ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, მ. ერგნელი, გ. დარისპანაშვილი, ა. ღვინიაშვილი და სხვები. ამ სპექტაკლებმა ნათელი გახადა მათი ნიჭიერება და, სწორედ მათმა შემოქმედებამ მომავალში განსაზღვრა კიდეც თეატრის სახე. მათ თანდათან შეემატნენ ი. ნინუა, ვ. არეშიძე, ნ. ხორავა, ა. კაჭკაჭიშვილი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერეს მის ისტორიაში.

თეატრის მაშინდელ ხელმძღვანელობას კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ეროვნული თეატრის განვითარების საფუძველი ეროვნული დრამატურგია უნდა ყოფილიყო. იმთავითვე მიიზიდეს ქართველი დრამატურგები: ს. მთვარაძე, გ. ნახუცრიშვილი, ა. კაჭკაჭიშვილი, გ. დარისპანაშვილი, კ. გოგიაშვილი, ქ. ქუჩუკაშვილი, ა. აღლაძე; თანამედროვეობის თემებზე დაწერილი მათი პიესებით დიდხანს საზრდოობდა თეატრი; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ს. მთვარაძის „სურამის ციხე“ (დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ მიხედვით შექმნილი პიესა), რომლის პრემიერა 1934 წელს შედგა. ეს პირველი კლასიკური პიესა იყო საბავშვო თეატრის სცენაზე. ამ საეტაპო სპექტაკლით გამოვლინდა თეატრის პოზიცია — ყოფილიყო ცხოვრების მიერ დასმული აქტუალური პრობლემების ცენტრში, და პასუხი გაეცა თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე.

გ. ნახუცრიშვილმა თეატრის სცენაზე ქართული, კლასიკური ზღაპრის ჩვენების ტრადიციები დაამკვიდრა. პირველი ქართული ზღაპარი, რომელიც ქართული საბავშვო თეატრის სცენაზე დაიდგა, იყო გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკლის „ნაცარქექია“. გ. ნახუცრიშვილს უნდა უმადლოდეს ჩვენი ახალგაზრდა თაობა რევოლუციური თემატიკის დამკვიდრებასაც. მისი „ლადო კეცხოველი“ და „ბორის ძნელაძე“ წლების მანძილზე ულვივებდა ბავშვებს გმირულ სულს, ვაჟკაცურ შემართებას.

ომის მრისხანე დღეებში თეატრმა წარმოადგინა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. ეს თეატრის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. სპექტაკლს თეატრალური საზოგადოებრიობა და თეატრალური კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა. ამ დიდებული დადგმის შედეგად მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი კულტურის მნიშვნელოვან კერად მიიჩნიეს და აღიარეს, რომ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორსა და მონაწილე მსახიობებს პროფესიონალიზმი, დიდი სცენური კულტურა აქვთ. თეატრი არ იფარგლება განსაზღვრული რეპერტუარით, იგი დგამს როგორც კლასიკურს, ისე თანამედროვე, მუშათა კლასის ბრძოლების ამსახველ პიესებს და ზღაპრებს.

ომის მრისხანე დღეებში ბევრი საინტერესო დადგმა განხორციელდა სამამულო ომის თემაზე, პარტიზანულ მოძრაობებზე. მაგალითად „გენერალი ლესელიძე“ ნორჩ მაყურებელს სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდა, გმირობისა და მამაცობის სურვილს ულვიძებდა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინსვლასა და განვითარებაში დიდია ამ თეატრის უნიჭიერესი მსახიობების გ. კუპრაშვილის, თ. თვალიაშვილის, გ. დარისპანაშვილის, ვ. არეშიძისა და სხვათა ღვაწლი.

გოგუცა კუპრაშვილი და თამარ თვალიაშვილი ერთად მოვიდნენ თეატრში, ეს ერთი ხანია, დატოვეს კიდეც თავიანთი საყვარელი სცენა, მაგრამ თეატრში დარჩა მათი ნიჭით სულანთებული თაობა, რომელიც საამაყოდ აგრძელებს თეატრის ტრადიციებს. ამ მსახიობებმა ნორჩი მაყურებელი აზიარეს თეატრალური ცხოვრების მაგიურ ძალას, თაობებს ასწავლეს ახალი ცხოვრების სილამაზისა და გმირული არსის შეგრძნების სურვილი.

ასევე საინტერესოა გიორგი დარისპანაშვილისა და ვახტანგ არეშიძის მიერ განვლილი გზა. მათი სცენური გმირები გმირული შემართებისა და ჭაბუკური გზნებისანი იყვნენ (ლ. კეცხოველი, ე. პუგაჩო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი, ვ. კიკვიძე). ეს გმირები შეუპოვარი თავგანწირვით იბრძოდნენ ნათელი საქმისათვის.

მრავალრიცხოვანია და ვრცელი იმ რეჟისორების სია, რომლებიც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ან მუშაობდნენ საბავშვო თეატრში: ბ. გამრეკელი, რომელიც რეჟისორობასთან ერთად დრამატურგობდა, გ. ჟურული, ა. ჩხარტიშვილი, ს. ჭელიძე, ლ. იოსელიანი, თ. წერომე, გრ. ლადიძე, კ. სურმავა, ა. გამსახურდია, თ. მალალაშვილი, თ. ჩხეიძე, შ. გაწერელია, მათ მიერ დადგმული სპექტაკლები წლების მანძილზე ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს თეატრის რეპერტუარს.

თეატრში ამჟამად თავმოყრილია საკმაოდ ძლიერი აქტიორული ძალები. ესენი არიან: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. ნინუა, რ. თავართქილაძე, გ. რევაზიშვილი, ბ. ჯაფარიძე, ც. ჟორჟოლაძე, ა. ფხალაძე, ფ. სონღულაშვილი, ი. ტყავაძე, ე. გელოვანი, ი. ელისაშვილი, ე. ასლამაზიშვილი, მსახიობები ო. ბალათურია, ლ. ჯაყელი, ნ. ცერცვაძე, შ. ქრისტესაშვილი, ტ. გიორგაძე, ნ. მაჭავარიანი, მ. აბაშიძე, ბ. ხაფავა, გ. მახათაძე და სხვები, ისინი ქმნიან რეპერტუარს, წარმართავენ თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებას.

ათი წელიწადი ხელმძღვანელობდა თეატრს რეჟისორი თ. მალალაშვილი. მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში იგრძნობოდა რეჟისორული ძიებები და სცენური კულტურა. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი ჰქონდა სპექტაკლს „სადა ხარ, სოფიკო" (პიესის ავტორი და რეჟისორი თ. მალალაშვილი), რომელიც რამდენჯერმე გადაიცა ტელევიზიით და მის ირგვლივ ტელედისპუტიც მოეწყო.

ამჟამად თეატრს დიდი მონდომებით, სიყვარულით და გატაცებით ხელმძღვანელობს რეჟისორი შ. გაწერელია. მის მიერ დადგმული სპექტაკლები წრფელი და დამაჯერებელია, რეჟისორი არაფერს აუბრალოებს. მისთვის საბავშვო თეატრი, უპირველესად, თეატრია, რომელსაც შესწევს ადამიანის სულის შეძვრის ძალა, მისი განწმენდის, ამაღლების, გაფაქიზების უნარი.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს ბევრმა სპექტაკლმა მოუტანა წარმატება. ეს სპექტაკლებია: ა. ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა", ქ. ქუჩუკაშვილის „კონკია", გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა", რ. მამულაშვილის „ძია ელიოზი", დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", „უბედურება" და „ქამუშაძის გაჭირვება", პაკეტისა და გუდრიჩის „ანა ფრანკის დღიური", შილერის „ორლეანელი ქალწული", ვაჟაფშაველას „მოკვეთილი", პ. ტრავერსის „მერი პოპინსი", ბ. ბრეჰტის „სიმონა მაშარის სიზმრები", ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს", ქ. ქუჩუკაშვილის „გოგო ხოხესია". კარგი წარმატება ხვდა თეატრს მოსკოვში გასტროლების დროს. შარშან, სექტემბერში თეატრმა მოსკოველ მაყურებელს უჩვენა ექვსი საუკეთესო დადგმა. გაზეთებმა „პრავდამ", „კო-



ნ. დუმბაძე — „მე ვხედავ მზეს"



„სიმონა მაშარის სიზმრები"



„მერი პოპინსი"



„ბურატინოს თავგადასავალი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსომოლსკაია პრავდამ", „სოვეტსკაია კულტურამ", „მოსკოვსკაია პრავდამ", „მასკოვსკი კომსომოლეცმა", ჟურნალმა „ოგონიოკმა" და „ნედელიამ" ვრცელი სტატიები დასტამბეს და საინტერესო შეფასება მისცეს თეატრს. აი ზოგი ამონაწერი: „...თეატრი მოზარდ მაყურებელს ელაპარაკება როგორც თანატოლს, პატივს სცემს მას ისევე, როგორც თავის ხელოვნებას, თავის საქმეს..."

„...ნამდვილად ფილოსოფიური, სულიერი და პუბლიცისტური სიღრმით გაგვახარა შ. გაწერელიას ბრწყინვალე სპექტაკლმა — „სიმონა მაშარის სიზმრებმა", სადაც ბრეხტის რთული პიესისათვის მონახულია დამოუკიდებელი და ბევრ რამეში ნოვატორული სცენური გადაწყვეტა".

12 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს ოფიციალურ მიღებაზე აღინიშნა, რომ მოსკოვში საგასტროლოდ ჩასული ქართული საბავშვო თეატრი მაყურებლის წინაშე წარსდგა როგორც ევროპული ფორმის მოწინავე და თანამედროვე თეატრალური აზროვნების დონეზე მდგარი თეატრი, რომელიც გამოირჩევა სპექტაკლების ანსამბლურობით, აღსავსეა შინაგანი ღირსებებითა და ძალა შესწევს სერიოზული საუბრის თემა დასახოს. მათი აღიარებით სპექტაკლები „მე ვხედავ მზეს", „ქამუშაძის გაჭირვება", „მერი პოპინსი", „სიმონა მაშარის სიზმრები" მეტად გამომსახველი, აზრიანი და პლასტიკურია.

მოსკოვში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის თეატრის კოლექტივი მოსკოვის საქალაქო საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა, ხოლო სპექტაკლის „ქამუშაძისი გაჭირვება" მონაწილეებს, საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის ამხ. პ. დემიჩევის ბრძანებით, ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ თეატრმა დადგა პრემიერა: ქ. ქუჩუკაშვილის „გოგო ხოხესია", ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ ამ დადგმას. ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა გ. თოდაძემ დრამატურგმა ქ. ქუჩუკაშვილმა, მხატვარმა უ. იმერლიშვილმა და ახალგაზრდა კომპოზიტორმა ვ. კახიძემ ჩვენი ბავშვები გაახარეს აზრიანი, ფერადოვანი სანახაობით. პიესის ჩინებული დიალოგები, ხალხური, ძარღვიანი ენა, ცოცხალი ხასიათები და მსახიობთა მაღალოსტატური თამაში მოსწონს ნორჩ მაყურებელს. დარბაზში თეატრალური განწყობილება სუფევს, მაყურებელი სპექტაკლის თანამონაწილე ხდება.

რაც შეეხება თეატრის იუბილეს, იგი საერთო ზეიმად გადაიქცა, რადგან თაობები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ავანგარდში დგანან, აქ ეზიარნენ პირველად ხელოვნების მაგიურ ძალას, აქ იგრძნეს ნამდვილი ხელოვნების სიხარული, აქ დავაუკაცდნენ და ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანებად იქცნენ.

**მაყვალა ცხომარია**
თეატრმცოდნე

# პირველი ინტერნაციონალი და ქართველი ქალები

პარიზის კომუნამ აამოძრავა მთელი მსოფლიოს დაჩაგრული მასები, რომლებსაც არც საქართველოს მშრომელი ხალხი ჩამორჩა. პარიზის კომუნის მაგალითით აღფრთოვანებულმა რუსეთის რაზნოჩინელმა ახალგაზრდობამ ფართოდ გააჩაღა ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.

პარიზის კომუნის ამბებს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა დაემატა, რომელმაც ქართველ საზოგადოებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ეს იყო „ნეჩაეველთა" საჯარო გასამართლება.

პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა თავის მოვალეობად თვლიდა გასცნობოდა კომუნარების თავგანწირულ ბრძოლებს, რომ მისი მაგალითით თავისუფლების დროშა აეფრიალებინათ საქართველოშიც.

პარიზის კომუნის ღრმა პატივისცემის ნიშნად ქართველმა მოწინავე ახალგაზრდა ქალებმა კომუნის წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული გამოსცეს. „საამო საკითხავთა თხზულებათა", სადაც დაიბეჭდა ფრანგულიდან თარგმნილი მოთხრობები, წერილები ბარიკადებზე დაღუპულ გმირების შესახებ.

ყოველივე ამან ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მანდილოსნები გამგზავრებულიყვნენ დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, ჟენევასა და ციურიხში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით პატაცებული ქართველი ახალგაზრდებისათვის შვეიცარია 70-იან წლებში სოციალური პროპაგანდის უმაღლესი სკოლა იყო. აქ თავს იყრიდნენ გამოჩენილი მოაზროვნე რევოლუციონერები: გერცენი, ლავროვი, ტკაჩოვი, ბაკუნინი და მთელი პლეადა რევოლუციურად განწყობილი რუსი ახალგაზრდობისა. აქვე იყო ბუდე ფრანგი კომუნარებისა, რომელთა გმირული ბრძოლის სურათები ჯერ კიდევ ცოცხლად ედგათ თვალწინ საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდებს.

ქართველი ქალები დასავლეთ ევროპაში პირველად 1872 წლის დასაწყისში გაემგზავრნენ. უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა ქართველი ქალი პელო (პელაგია) ნაცვლიშვილი, პირველი მერცხალი საქართველოს ქალებიდან. მის კვალს გაჰყვნენ მოწინავე იდეებით აღფრთოვანებული სხვა ქალებიც.

„ამ კვირის ორშაბათს — წერს გაზეთი „დროება", — კვლავ ორი ჩვენებური ახალგაზრდა გაემგზავრა სასწავლებლად საზღვარგარეთისაკენ, ერთი ბუნების მეცნიერების კანდიდატი პეტრე მელიქიშვილი და მეორე მისი და ეკატერინე მელიქიშვილისა. ამნაირად, ჩვენს ციურიხის კოლონიას კიდევ ორი წევრი შეემატა".

1873 წლის 9 მარტს, ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა დააარსეს სათვისტომო საზოგადოება „უღელი", რომლის წევრები იყვნენ პელაგია ნაცვლიშვილი, ეფემია ელიოზიშვილი, ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, ოლღა გურამიშვილი, მაშიკო წერეთელი, ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ შერვაშიძე, ბოგუმილა ზემიანსკაია და სხვები.

საზოგადოება „უღელის" მთავარი ძალა ქალები იყვნენ.

„უღელის" სხდომებზე ლექციებს კითხულობდნენ ემიგრანტები—ლავროვი, ტკაჩოვი, ბაკუნინი და სხვები.

1873 წლის ნოემბერში ციურიხის „უღელის" საზოგადოება ორად გაიყო. პირველი მიმდინარეობა — (უმცირესობა) ციურიხში დარჩა, ხოლო მეორე (უმრავლესობა) ჟენევაში გადავიდა. ამას ბიძგი მისცა რუსეთის მთავრობის ცილისმწამებლურმა პროვოკაციებმა.

ჟენეველებმა ჩამოაყალიბეს ჟენევის „უღელი“, რომელმაც თავისი მოქმედების ტაქტიკა პირდაპირ დაუკავშირა რუსეთისა და ევროპის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას და გააცხოველა მუშაობა ლიტერატურის დარგში.

ჟენევის „უღელში“ შედიოდნენ ეკატერინე ნიკოლაძე, ეკატერინე მელიქიშვილი, ოლიმპიადა ნიკოლაძე, ეფემია ელიოზიშვილი, ოლღა გურამიშვილი, მაშიკო წერეთელი, ანა დობროვსკაია, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ჯაფარიძე, დ. მიქელაძე, ა. სარაჯიშვილი, პ. იზმაილოვი, პ. მელიქიშვილი, ვ. პეტრიაშვილი, ი. თარხნიშვილი, ა. ელიოზიშვილი, ა. და ვ. ჯანდიერები და სხვები. წრე დღითიდღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა.

მათი ფიქრი იყო საქართველო, მათი ოცნება იყო ქართველი ხალხის ბედი, მათი ფიქრი და ზრუნვა მიმართული იყო სამშობლოს კეთილდღეობისაკენ. „უღელის“ იდეურ პრობლემად იქცა ეროვნული საკითხი, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს იმ დროის პირობებში, როდესაც ირგვლივ ძლიერდებოდა ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა, „უღელის“ ოცნებაც იყო სამშობლოს გათავისუფლება რუსეთის დესპოტიზმისაგან.

1874 წლის აგვისტოში „უღელმა“ მოიწვია კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, რუსი ემიგრანტები, ჟენევაში ემიგრირებული გმირი პარიზის მებრძოლნი (პარიზის კომუნარები), კონგრესს ესწრებოდა ორმოცდაათამდე კაცი.

აღსანიშნავია, რომ „უღელის“ წევრების ერთი ნაწილი დაახლოებული იყო შვეიცარიაში მყოფ რევოლუციონერ-ემიგრანტებთან და ფრანგ კომუნარებთან. ეფემია ელიოზიშვილი, მაშო წერეთელი, ოლიმპიადა და ეკატირინე ნიკოლაძეები, ოლღა გურამიშვილი ახლო ურთიერთობაში იყვნენ ბაკუნინთან, ტკაჩოვთან, ნიკოლოზ და ნინო მოროზოვებთან, საბლინთან, პეროვსკაიასთან და სხვებთან.

ვერა ფიგნერის წერილიდან ჩანს, რომ ის მეგობრობდა ეკატერინე ნიკოლაძესთან, მეტად ანც, მკვირცხლ ქალიშვილთან. ელიოზიშვილი კი აღზრდილი იყო ტკაჩოვის ოჯახში, თვით ტკაჩოვის მიერ.

„უღელმა“ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის განვითარებაში. მისი მეშვეობით იგზავნებოდა საქართველოში (არალეგალურად) ლიტერატურა, საამკინძაო საქმეები, სასტამბო შრიფტები და სხვა.

„ჩვენ ხშირად ვესწრებოდით მუშათა ლექციებს — წერს ვერა ფიგნერი, — დავდიოდით შეკრებებზე, კომუნარებისადმი მიძღვნილ ბანკეტებზე, რომლებიც ეწყობოდა პირველი ინტერნაციონალის სექციისა და შვეიცარიის მუშათა კავშირის მიერ“.

რევოლუციონერ-ხალხოსან ინტელიგენტებს იზიდავდა მუშათა ორგანიზაციები, რომელთა ცენტრი იმყოფებოდა მოსკოვში. აქედან წარმოდგა სახელწოდება „მოსკოველები“, რომლის მიზანი იყო პროპაგანდისათვის კადრების მომზადება. ამ მიზნით სოფიო ბარდინამ, ლიდა ფიგნერმა, კამინსკაიამ და სხვა რევლუციონერმა ქალებმა გადაწყვიტეს ფაბრიკებში მუშებად ემუშავნათ.

1875 წლის აპრილში „მოსკოველთა“ წრე გაანადგურეს, ხოლო შემოდგომაზე მთლიანად ჩავარდნენ მისი წევრები, რომლებიც „50“-ის პროცესის სახელწოდებით გაასამართლეს.

ორმოცდაათ პატიმარს შორის 16 ქალი იყო, რომელთა წლოვანება 25 წელს არ აღემატებოდა.

— ჩვენ, ჯერ სრულიად ახალგაზრდები,— წერს თავის მოგონებაში ოლღა გურამიშვილი, — გატაცებით ვადევნებდით თვალს ამ მოვლენის სიდიადეს, ჩვენმა მასწავლებელმა მარიამ ნადეჟდინამ პირველმა აღძრა ჩვენში სიძულვილი თვითმპყრობელობისადმი. აგრეთვე დაწაფებული ვიყავით „დროების“ კითხვას, სადაც კომუნის ბრძოლა შუქდებოდა... ადვილი წარმოსადგენია, იმის შემდეგ რა აღფრთოვანებით შევხვდებოდით ჩვენ ჟენევაში პარიზელ კომუნარებს, რომლებიც აქ საფრანგეთის მთავრობას გამოექცნენ. ჩვენ ხშირად დავდიოდით კომუნარებთან, ისინი გვიწვევდნენ თავიანთ კრებებზე, ინტერნაციონალის კომუნართა სექციაში“.

სხვადასხვა მოგონებებიდან და წერილებიდან ჩანს, რომ „უღელის“ წევრებს პარიზის კომუნა მუშათა კლასის სამართლიან საქმედ, კაცობრიობის საუკეთესო იდეების განხორციელების საქმედ მიაჩნდათ. „უღელის“ წევრთა აზროვნებაში პარიზის კომუნა და პირველი ინტერნაციონალი ერთიმეორის შერწყმა, ერთიმეორის შევსება იყო. კრებებზე კითხულობდნენ მოხსენებებს პირველი ინტერნაციონალის შესახებ და, პირიქით, პირველი ინტერნაციონალი დაინტერესებული იყო „უღელის“ ხალხოსნურ-რევოლუციური წრის წევრების საქმიანობით.

— ოლღა გურამიშვილი იგონებს: „კომუნარებთან საუბარმა ჩვენთვის ნათელი გახადა ბევრი აქამდე ბუნდოვანი კითხვა. მათ ჩინებულ აზრებს უკვალოდ არ ჩაუვლია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ზოგმა მათგანმა სულ მალე მონაწილეობა მიიღო რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში და თავიც დასდო ხალხის განთავისუფლებისათვის“.

ამასვე ადასტურებს მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ცნობილი რუსი ხალხოსან-რევოლუციონერი ნიკოლოზ მოროზოვი, რომელიც იხსენებს შეხვედრას ოლღა გურამიშვილთან, მაშიკო წერეთელთან და ეკატერინე ნიკოლაძესთან.

მოროზოვი წერს, ეს სამეული დობროვსკაიამ გამაცნო პირველი ინტერნაციონალის შეკრებაზეო. მოროზოვი აღნიშნავს, რომ ისინი გატაცებულნი იყვნენ რევოლუციური მოძრაობით და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჟენევაში მყოფ რევოლუციონერ-ემიგრანტებთან.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ „უღლის“ წევრებმა ფართოდ გააჩაღეს რევოლუციური მუშაობა.

ჟუჟუნა ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზო ცარციძე

## გაზაფხული მენატრებოდა...

დედის ხსოვნას

მე დამესიზმრე, პეშვს მიწვდიდი და
პურის თავთავებს მთხოვდი,
გარეთ კი დუმდნენ ორღობეები
და გადუღებლად თოვდა...

მიყურებდი და მოწყენილ თვალებს
ფრთხილად სწყდებოდათ ცრემლი,
მერე მომთხოვე ყვავილიანი
პატარა ტოტი ტყემლის...

შენ გაზაფხული გენატრებოდა,
მე უსაშველოდ ვთრთოდი,
გარეთ კი, ჩემო კარგო დედიკო,
გადაუღებლად თოვდა...

## შვილი

პურის სურნელით,
თაფლის სურნელით,
და გაზაფხულის
ნაცნობ სურნელით,
უფრო ჭკვიანი,
უფრო დამჯერე,
ვიდრე ცეტი და
ვიდრე სულელი —
დამრეც ფერდობზე
ამორბის გოგო,
სულ ერთი ციდა,
წყვილი ნაწნავით,
მიალერსებს და
სადღაც გაგონილ
მთლად სახუმარო
ლექსებს მასწავლის...
მას სულ ახლახან
მოვაძრე კბილი,
შვენის ღიმილი
როგორც ფერიას,
ლოყაზე ნაზად
მეხება შვილი —
ვინც ქვეყნად ჩემთვის
ყველაფერია!..

* * *

ზოგჯერ, როდესაც თვალებს
დაეუფლებათ მწუხრი,
და უიმედო წუთებს
მოდრეკილი აქვთ მუხლი —
მე გევედრები თრთოლვით,
არ დამელალო გულო,
მე გევედრები ცრემლით,
არ მოიწყინო გულო —
უნდა მივხედოთ კაცს და
უნდა მივხედოთ მღვიმევს,
არ შევუშინდეთ ქარს და
არ შევუშინდეთ წვიმებს,
თუ ვერ დავუწერთ ლექსებს,
დავიკაპიწოთ მკლავი, —
და თუ დასჭირდეს მამულს,
ჩვენც ვანაცვალოთ თავი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღირსეული ქილდო

მანანა გაბაშვილმა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლა დაამთავრა. გოგონა ხუთოსანთა რჩეულში არ შედიოდა, მაგრამ მას თავისი გამორჩეული საგნები — ლიტერატურა და ისტორია უყვარდა; ხელოვნება, ფილოსოფია იტაცებდა.

სასკოლო პერიოდი ხომ სწავლა-მოწყურებული ახალგაზრდისათვის საუკეთესო წლებია. ამ ხანაში მანანამ გადაიკითხა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები და შეისწავლა ჩვენი ერის ისტორია. მან ყველაზე მნიშვნელოვანიც მოასწრო — სამი უცხო ენა შეისწავლა: ფრანგული, ინგლისური, გერმანული.

ოჯახის ტრადიციას დიდი მნიშვნელობა აქვს. მანანა გაბაშვილი ცნობილი ქართველი მოღვაწის სერგი მაკალათიას შვილიშვილია (დედის მხრიდან), მამა — ვალერიან გაბაშვილი ისტორიკოსია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, პროფესორი, რომელმაც ათი უცხო ენა იცის. მანანას ძმა — ნოდარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და თერთმეტ ენაზე მეტყველებს, ამჟამად იაპონურ ენას სწავლობს. ჩანს, ოჯახში დამკვიდრებულია უცხო ენების შესწავლის უნარი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე მანანა გაბაშვილმა სამი უცხო ენა შეისწავლა.

ასეთი ცოდნით შეიარაღებულმა გოგონამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ჩააბარა. მალე გაირბინა აბიტურიენტთა ღელვის სამმა კვირამ და მანანას წინ ფართოდ გაიღო მეცნიერების ტაძრის კარი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელმა სტუდენტმა იმთავითვე მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. პედაგოგთა დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარა, რომ მათ თვალწინ მომავალი მეცნიერი იზრდებოდა, რომელიც მკვლევარის საოცარ ალღოსა და ძიების უნარს ამჟღავნებდა.

მალე მანანა გაბაშვილი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე მან წაიკითხა თავისი პირველი ნაშრომი: „ქალაქის საზოგადოებრივი ფორმები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით“. სტუდენტმა საუცხოოდ გამოიყენა შოთა რუსთაველის პოემა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების შესასწავლად, სადაც უხვად არის მოცემული საქალაქო ცხოვრების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია. ამ ტერმინების საფუძველზე მან XI-XII საუკუნეების საქართველოს ქალაქების სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი განშრევება აღადგინა.

თემამ დიდი მოწონება ჰპოვა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში დაიბეჭდა. მას არანაკლები საინტერესო ნაშრომი მოჰყვა — „თბილისელი ვაჭრები ირანში“.

ცნობილია, რომ იმდროინდელ სამყაროში თბილისი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობაში. თბილისური საქონელი (ჭურჭელი, ქსოვილები და სხვა) განთქმული იყო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში — ირანში, სირიასა და შორეულ ეგვიპტეში. განთქმულნი იყვნენ თბილისელი ხელოსნებიც. მანანა გაბაშვილმა ამ თემის შესასწავლად სპარსელი და არაბი ისტორიკოსების — ალ-ფარიკის, ისჰანდიარის, იბნ ალ-ასისა და სხვათა თხზულებები გამოიყენა.

ახალგაზრდა მეცნიერს არ გასჭირვებია ამ თემებზე მუშაობა. მან ხომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე კიდევ ორი უცხო ენა შეისწავლა—არაბული და სპარსული.

მანანა გაბაშვილმა წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი, მიიღეს ასპირანტურაში... მან ნიჭიერთა ფართო გზით აიარა უნივერსიტეტის კიბე და გავიდა ცხოვრების სარბიელზე: მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად.

აქ ის ნამდვილ, წმინდა მეცნიერულ შრომაში ჩაება: ძირფესვიანად შეისწავლა ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები. ქართული ხელნაწერი ძეგლების მონაცემებს დაუმატა ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალები, აღმოსავლურ წყაროებში არაბულ, სპარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ და თურქულ ენებზე დაცული მასალები; შეისწავლა აგრეთვე საინტერესო მოვლენა — ე. წ. „ვერცხლის კრიზისი“, როცა საქართველოში არაჩვეულებრივი აღმავლობის ხანაში ფულად მიმოქცევაში სპილენძის მონეტა გაბატონდა, რადგანაც ვერცხლის მონეტა ვეღარ აუდიოდა გაზრდილ მოთხოვნილებას...

ამ დაგროვებული მასალების საფუძველზე მანანა გაბაშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე — „XI-XII საუკუნეების საქართველოს ქალაქები“. ამჟამად ის კიდევ ორ საინტერესო საკითხზე მუშაობს: „ახლო აღმოსავლეთის საქალაქო კულტურა“ და „ტრაპიზონის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია“.

ახალგაზრდა მეცნიერი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა: 1975-1977 წლებში არჩეული იყო სახალხო დეპუტატთა კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატად, ხოლო მეცნიერების ხაზით — კალინინის რაონის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერთა და ასპირანტთა სამეცნიერო კრებულის „ჯევანმარდის“ რედაქტორია. ამ კრებულში ინსტიტუტის კონფერენციებზე წაკითხული ახალგაზრდა მეცნიერთა მოხსენებები იბეჭდება.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის სამაგალითოა მანანა გაბაშვილის შრომისმოყვარეობა, მისი სკოლაში, უნივერსიტეტში, ასპირანტურაში სწავლის პერიოდი, უცხო ენების შესწავლისა და ცოდნის დაგროვების წლები და თითქმის არცერთი უქმად დაკარგული დღე. რამდენი რამის გაკეთება შესძლებია ახალგაზრდას, თუ მოინდომებს, თუ ნაყოფიერად გამოიყენებს ყოველ წუთსა და საათს.

შარშან მანანა გაბაშვილს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა ნაშრომთა ციკლისათვის — „შუა საუკუნეების საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქები“.

ეს დიდი გამარჯვებაა ახალგაზრდა მეცნიერისათვის. ამ ციკლში მისი დღემდე გამოქვეყნებული ოცამდე ნაშრომი შევიდა. ასე დაფასდა ბავშვობიდან დაწყებული შრომა და მისი ცხოვრების მიზანი.

**ირმა ჩოფიკაშვილი**



**ჩვენ გვწერენ**

# მოგონება

1930-31 წლებში ხარაგაულის რაიონში ვმუშაობდი. მაშინ რაიონის კოლმეურნეობები ფეხს იდგამდა. რაიკომის მდივნები ვანო ჩხეიძე, პავლე ბუაჩიძე, აღმასკომის თავმჯდომარე მიხეილ შარიქაძე და სხვები აქტიურად იბრძოდნენ მის გასამაგრებლად. მეც რაიკომის ბიუროს წევრი ვიყავი და, რაც შემეძლო, ვეხმარებოდი რაიონის ხელმძღვანელობას. კოლმეურნეობებში ვგზავნიდით აგიტატორებს, რაიონის მოწინავე კომუნისტებს და კომკავშირელებს. აქტიურობით გამოირჩეოდა კომკავშირელი მასწავლებელი ნუცა მიხეილის ასული მაღრაძე. ის გამოდიოდა კრებებზე შინაარსიანი სიტყვით, იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას. ნუცა მაღრაძეს აფასებდნენ და პატივს სცემდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მაშინ ხარაგაული სოფელს უფრო ჰგავდა. ტრანსპორტი არ იყო. გზებიც არ ვარგოდა. ვსარგებლობდით ცხენებით, უფრო ხშირად ფეხით დავდიოდით. ნუცა მაღრაძე ფეხით შემოივლიდა ხოლმე სოფლებს. უფრო ხშირად მარტო დადიოდა. ყოჩაღი იყო და დაუზარელი. საქმისათვის თავს არ იზოგავდა. ეს იშვიათი ადამიანი ოცდაერთი წლისა გამოესალმა სიცოცხლეს.

ერთხელ ნუცამ დავალება შეასრულა და ცუდ ამინდში მარტო დაბრუნდა რაიონის ცენტრში. გაცივდა და ფილტვების ანთებით გახდა ავად. მთელი რაიონი ფეხზე დადგა, მაგრამ ნუცას ვერ უშველეს. რომ ეშველათ, ალბათ კიდევ მეტს გააკეთებდა ხალხისათვის, ქვეყნის მომავლისათვის.

**დავით თვალჭრელიძე,**
**შრომის ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კამოს ქუჩა №12



უ. შექსპირი — „ჰამლეტი“.




სახლმუზეუმის დირექტორი ნინო ჩხეიძე შვილიშვილ სალომესთან ერთად

## უშანგი ჩხეიძე—80

**და, ვიდრე ამ სახლში წახვალთ, —
წაიკითხეთ პატარა წიგნი:
ნინო ჩხეიძე, უშანგი (მოგონებები).**

ნინო ჩხეიძე — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენის ტრფიალი, მოღვაწე და თაყვანისმცემელი — ლეგენდარული უშანგის უმცროსი დაა, — ოცი წლით უმცროსი დაიკოა, წლების განმავლობაში უშანგის გვერდით გაზრდილი და უფროს ოთხ დასთან ერთად მისთვის მზრუნველი, მისი სახელის მაფიცარი. გულში ილვიძებს მოგონებები: გოგოლია, ელენე, თინათინი, ვარვარა, უშანგის მომდევნო დაუვიწყარი მიხეილი... ზესტაფონი, სოფელი ფუთი, ბიქტორ და ქრისტინე ჩხეიძეების დიდი ეზო-კარი, აივნიანი სახლი, სამახსოვრო თერთმეტი ალვის ხე. (ქრისტინე ვაშაძე-ჩხეიძისა თერთმეტი შვილის დედა გახლდათ)...

ქალბატონ ნინოს მეხსიერებაში უშანგის პირველი ხილვა საოცარი და პოეტური რამ იყო: მესერს ვაჟკაცურად მშვენიერი უშანგი, სახელგანთქმული უშანგი, წყლიდან ამომხტარი კალმახივით გადმოევლო. „ყველას ხვევნა-კოცნას რომ თავი დააღწია, ჩემთვისაც მოიცალა, ხელში ამიტაცა, მაკოცა და ისევ ძირს დამსვა, უყურე, რამხელა გაზრდილა ეს პატარა გოგოო! — ასე იწყება წიგნი, ამ წიგნის ბოლო აკორდი კი ასე მთავრდება: „თვალებს ვხუჭავ და მგონია, რომ უშანგი აქვეა, მისი ბინის რომელიმე ოთახში, ან ჩემს გვერდით, მაგრამ ეს წუთით... გავახელ თვალს და ველარ ვხედავ მის ახოვან ტანს, მის ცეცხლოვან თვალებს, აღარ არის ჩემი პატრონი, ჩემი აღმზრდელი, ჩემი სიამაყე, ჩემი ნათლის გვირგვინი, ჩემი უშანგი“...

ეს აღზრდა ქალბატონი ნინო ჩხეიძისათვის მცირე სასამართლოს ქუჩიდან დაიწყო, შემდეგ: მათი ბიძაშვილის — დავით ჩხეიძის ბინა მოსკოვის ქუჩაზე, და საბოლოოდ კამოს ქუჩა № 12, სადაც მინდა ჩვენი მკითხველი შევიყვანო. ამ ბინათა შორის სულდგმულობს ქართული სცენის დიდოსტატი უშანგი ჩხეიძე, უშანგი—ურიელი, უშანგი — ჰამლეტი, უშანგი — ჩენჩი, უშანგი—იაგო. უფრო სწორად — მოგონებები ამ როლებზე, მოგონებები იმ ელვარებაზე, რომელიც ასე წვავდა და უხდებოდა ქართულ სცენას.

თბილისი. კამოს ქუჩა, № 12.

ახლა იქ, მინის კარადაში ისვენებს ურიელის კოსტუმი: შავი ფერისა, თეთრი საყელოთი... „ო, არა, ივდით“... სევდიანად და ფიქრიანად ხმიანებს აჯანყებული ურიელი... „რად არ მერლვევა ეს სხეული?“ — კითხულობს, თითქმის ჩურჩულით კითხულობს დანიის ტრაგიკული პრინცი ჰამლეტი... და ყველგან, ყოველ კედელზე, ყოველ კუთხეში უშანგი! — უშანგი როლებში, უშანგი აფიშებზე, უშანგი ცხოვრებაში, უშანგი მხატვრობაში, უშანგი ქანდაკებაში...

კამოს ქუჩა, ნომერი 12.

ამ ბინაში აჯანყებულმა და უსამართლოდ ტანჯულმა პრინცმა ჰამლეტმა ნახევარი წელი იცხოვრა მხოლოდ. ნახევარი წელი აქვე გაატარა ფილოსოფოსმა ურიელმა, ცბიერმა და კანონზომიერად დამარცხებულმა ცრუ ყვარყვარემ, მიწიერი ცოდვებისაგან დატვირთულმა ჩენჩიმ.

„უშანგის ოჯახი დღესაც არსებობს, თუმ-

ცა მუდამ დაღვრემილი, მაგრამ მას ახლაც უშანგის ჭერი ჰქვია...“ — ამბობს უშანგის დაიკო. „განა არ ვიცი, რომ უშანგის ფონზე ფერმკრთალია ჩემი არტისტობა, მაგრამ საქმით ხომ ახლოს ვარ მასთან?“ — დამახასიათებელი და დამამშვენებელი თავმდაბლობით კითხულობს სცენისა და ძმისათვის ამაგდარი ქალბატონი ნინო ჩხეიძე...

დღის 3 საათიდან საღამოს 7 საათამდე აქ ხვდება იგი უშანგის დამფასებლებს. მათი რიცხვი კი აურაცხელია — დაწყებითი კლასებიდან, რომლებიც კითხულობენ, როგორ სწავლობდა სკოლაში დიდი უშანგიო, დამთავრებული უშანგის თანატოლებით. მხცითმოსილმა ქალმა ურიელის კოსტუმს მოწიწებით გადაუსვა ხელი და თქვა — სიცოცხლეში ამის გაფიქრებასაც ვერ გავბედავდიო. მერე შვილიშვილს მიუბრუნდა — ამის წყალი გადაგესხასო, მასავით ნიჭიერი დადექიო!..

ქალბატონი ნინო კრძალვით დასტრიალებს და უვლის უშანგის საწოლ ოთახს, სამუშაო მაგიდას, მის მრავალ ავტოგრაფს, უშანგის საკუთარი ხელით გადაწერილ ქართულ ხალხურ ლექსებს — „შემომეყარა ყივჩაღსა“ და „ვეფხისა და მოყმის ამბავს“, ჰამლეტისა და ურიელის მონოლოგებს. მერე, ზედა საწოლთან მიდგმულ პატარა ტუმბოს უჯრას ხსნის: ანა კალანდაძის ლექსები, უშანგის მკურნალი ექიმის ხელით გადაწერილი...

„როგორ ვინანე, ნიკა აგიაშვილის დიდებული წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ რომ წავიკითხე. თურმე ლადო ასათიანს უშანგის გაცნობა სწადდა გულით და ვერ შებედა... ლადოს ლექსები კი ზეპირად იცოდა უშანგმა, განსაკუთრებით „კრწანისის ყაყაჩოები“ მოსწონდა“... სევდიანად ამბობს უშანგის დაიკო, და ხელს ნაზად უსვამს უშანგისეულ შინდისფერ ხალათს, შავი ბეწვით გაწყობილს, სწორედ იმ საშინაო ხალათს, ქეთევან მაღალაშვილისა და უჩა ჯაფარიძის შექმნილ პორტრეტებზე რომ აქვს მოხურული დიდებულ უშანგი ჩხეიძეს.

...შარშან იგი 80 წლისა გახდა. „ელვარე როგორც უშანგის გულიო“ ამბობს გრიშაშვილი მარჯანიშვილისადმი მიძღვნილ ცნობილ ლექსში. ამ ელვარებით კითხულობდა და წერდა მაგნიტოფონის ფირებზე დიდი უშანგი მონოლოგებს, ქართული პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს სწორედ ამ ბინაში, ამ ოთახში, უმცროსი დაიკოს დახმარებით წერდა და მემკვიდრეობად გვიტოვებდა.

კამოს ქუჩა, ნომერი 12. საქართველოს თეატრალური მუზეუმის ფილიალი. დიდი უშანგის მყუდრო ბინა, მემორიალი.

ინახულეთ, დაათვალიერეთ იგი.

მოუსმინეთ უშანგის დასა და მოკრძალებულ თაყვანისმცემელს — ქალბატონ ნინო ჩხეიძეს.

წაიკითხეთ მისი მშვენიერი წიგნი „მოგონებები უშანგზე“. ამით ნაწილობრივ მაინც გაიცნობთ ქართული სცენის ლეგენდარულ რაინდს — უშანგი ჩხეიძეს!

**ნაზი კილასონია**

### კაპიტალის სამყაროში

# „ისინი ტირიან, როდესაც სხვები იცინიან“

ამერიკელი ჟურნალისტის კენეტ ვუდენის ამ სახელწოდების წიგნი მოგვითხრობს აშშ-ის იმ დაწესებულებების მუშაობაზე, რომელთაც დამნაშავეობის გზაზე დამდგარი თუ საერთოდ მომავალი დამნაშავის პროგნოზით დაღდასმული ასიათასობით მოზარდის ბედი აბარიათ.

წიგნის ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია და ღრმად გაუანალიზებია როგორც არასრულწლოვანთა დამნაშავეობის გამომწვევი მიზეზები, ისე ამ მოზარდთა აღზრდა-გამოსწორების მეთოდები. ავტორი გვამცნობს, რომ ამერიკის სასამართლოები არჩევენ არა მარტო სისხლის სამართლის დამნაშავე მოზარდთა საქმეებს, არამედ იმათ საქმეებსაც, ვისი სტატუსიც ამჟღავნებს, რომ ბავშვში ყველაფერი რიგზე ვერაა: აცდენს გაკვეთილებს, გარბის ოჯახიდან ან საერთოდ არ ემორჩილება მშობლებს. მეტწილად ესენი გაჭირვებაში გაზრდილი, მშობლიურ ალერსსა და ზრუნვას მოკლებული ზანგი და პუერტო-რიკოელი ბავშვები არიან.

კ. ვუდენის რწმუნებით, იმ ერთ მილიონ ამერიკელ არასრულწლოვანთა შორის, რომელთა საქმეებს ყოველწლიურად სასამართლოები განიხილავენ, ერთ მესამედზე მეტი სწორედ ასეთი ბავშვები არიან. ამათგან შემდეგ 30-50 პროცენტამდე მოზარდი საპატიმროში იხდის სასჯელს.

სწორედ ამ გამასწორებელ დაწესებულებებში ყალიბდება ბევრი მოზარდი სისხლის სამართლის გამოუსწორებელ დამნაშავეებად. ისინი ამ საპატიმროების საკნებში უფროს გამოუსწორებელ დამნაშავეებთან ერთად ჩაკეტილნი, აბუჩად აგდების, ძალადობის, სქესობრივი გაუკუღმართების მსხვერპლნი ხდებიან — ფიზიკურად და სულიერად იხრწნებიან.

უკეთეს ბედში არც ის მოზარდები არიან, ეგრეთწოდებულ „გამასწორებელ სკოლებში“ რომ იგზავნებიან. აქაც დამცირება, ცემა, შეურაცხყოფა... მაგალითად, მასაჩუსეტსის შტატის ერთერთ ასეთ სკოლაში დამნაშავე მოზარდს აიძულებენ პატიმარი ამხანაგების ორ მწკრივს შუა გაიაროს და ყოველი მათგანი ვალდებულია მას მუშტი უთავაზოს, ხოლო თუ რომელიმემ ამხანაგი დაზოგა, თვითონაც იმავე წესით ისჯება.

როგორ პირობებში ცხოვრობენ ბავშვები: ზოგ საკანში, ყოველგვარ მეთვალყურეობას მოკლებული ოცამდე ბავშვია ერთად შეყრილი და, ცხადია, ძლიერები ყველანაირად ჩაგრავენ სუსტებს. ამ სკოლებში არის კარცერებიც, სადაც რამდენიმე დღით ამწყვდევენ უჭმელ-უსმელ დამნაშავეს და არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც „გამოსწორების“ ასეთი პროცესი მთავრდება გამოუსწორებელი დანაშაულით — მოზარდის ჯანმრთელობისა და ფსიქიკის შერყევით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება გამასწორებელ სკოლებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ მოზარდთა ნებისყოფის დამთრგუნავი სხვადასხვა სახის სამკურნალო პრეპარატები — მათ შორის ნარკოტიკებიც.

ამ მედიკამენტების ფართოდ გამოყენებით დაინტერესებულია არამარტო სკოლა-საპატიმროს ადმინისტრაცია, არამედ დიდი ფარმაცევტული კორპორაციებიც. მეტწილად ბავშვებს მკურნალობენ არაკვალიფიციური ზედამხედველები, რასაც ხშირად სავალალო შედეგი მოსდევს ხოლმე. არის კიდევ მკურნალობის სხვა, ახალი მეთოდებიც, როგორიც არის თავის ტვინის მკურნალობა ელექტროდენით, სხივური თერაპია და სხვა.

ზოგჯერ მოზარდებს საცდელი კურდღლების მაგივრადაც იყენებენ. ასე, მაგალითად, პენსილვანიის შტატის ერთ-ერთ გამასწორებელ სკოლაში გამოცადეს ფარმაცევტული ფირმის ვაქცინა, რომლის მოქმედება აქამდე მხოლოდ სამ კურდღელზე, სამ ზღვის ღორზე და ოცამდე თაგვზე შეისწავლეს.

აშშ-ში, გამასწორებელი სკოლების გარდა, არსებობს კერძო დამსჯელი დაწესებულებებიც. მეპატრონენი, გარდა იმისა, რომ პატიმრებს მძიმე ექსპლოატაციას უწევენ, მათს შესანახად სახელმწიფოსაგანაც იღებენ დოტაციას, მაგრამ ეს სკოლა-ციხეები და საკნები მხოლოდ მათ კი არა, მთელ რაიონსაც აძლევს შემოსავალს, იმათ, ვინც ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და პროდუქტებით ამარაგებს ამ სკოლებს.

რაც შეეხება ციხის უფროსებს, ზედამხედველებსა და მსახურთა მთელ არმიას, ისინი მეტწილად უხეში, უვიცი და ფსიქიკურად და მორალურად არაჯანსაღი ადამიანები არიან, რომლებსაც „აღსაზრდელთათვის“ მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლიათ.

ასე აღწერს ჟურნალისტი კენეტ ვუდენი ამერიკელ საზოგადოებრიობას ამერიკის შეერთებული შტატების — ამ „ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლი ქვეყნის“ აღმზრდელობით დაწესებულებებში მოხვედრილ მოზარდთა ცხოვრებას. და თვალნათლივ აჩვენებს თუ ვისთვის არის საჭირო ბავშვთა პატიმრობაში ყოფნა და რა „სარგებლობა“ მოაქვს ამ დაწესებულებებს ამერიკელ ბავშვთათვის და, საერთოდ, ერისათვის.

„ლიტერატურნაია გაზეტა“

იბეჭდება შემოკლებით.

# მშობლებო, შვილებს მივხედოთ!

როსტოვი — 100. თბილისი — 1... დასაწყისი სენსაციურ სპორტულ რეპორტაჟს მოგაგონებთ, სადაც ძალთა თანაფარდობა საკმაოდ არათანაბარია, თუმცა უცნაური აქ არაფერია, უბრალოდ ქ. როსტოვში 100 საბავშვო ბაღს აქვს საკუთარი საცურაო აუზი, თბილისში კი — ერთს...(!).

მივყვეთ თანმიმდევრულად. ორი სამი წლის წინ ქ. როსტოვის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა საბავშვო ბაღებისათვის საკუთარი საცურაო აუზების მშენებლობის საკითხი. დაინტერესდნენ საწარმო-დაწესებულებები, საუწყებო ორგანიზაციები, განათლებისა და სპორტის მუშაკები, მშობლები და ორიოდე წელიწადში ქ. როსტოვის 100 საბავშვო ბაღს საკუთარი საცურაო აუზი აუშენეს.

მერე და რა მოხდა აქ საგანგებო? — მოხდა ის, რომ: ათასობით მოზარდმა გაიკაჟა ორგანიზმი და გაიუმჯობესა ჯანმრთელობა, ათასობით ბავშვმა ისწავლა ცურვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უბედურების შემთხვევაში მათს სიცოცხლეს საფრთხე აღარ დაემუქრება. ამაზე მეტი საშვილიშვილო საქმე რაღა გინდათ?!

რა მდგომარეობაა ჩვენთან? ნუ მოვერიდებით მწარე სიმართლეს და ვთქვათ ყველაფერი, რაც სათქმელია.

ჩვენი მოზარდების ფიზიკური განვითარების საშუალო მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება საკავშირო საშუალო მაჩვენებლებს! წლიდან წლამდე ასტრონომიულად იზრდება ფიზიკური ნაკლის მქონე მოზარდთა რიცხვი, ხოლო ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფთა რაოდენობამ ათასებს გადააცილა.

გასულ წელს 39 ათასამდე თბილისელმა მოზარდმა ვერ შეასრულა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" კომპლექსის ნორმატივი. ეს ნორმატივი კი ნორმალურად განვითარებულ ბავშვებზეა გათვალისწინებული...

თბილისელ მოზარდთა 90-მა პროცენტმა ცურვა არ იცის, ე. ი. უბედურების შემთხვევაში (ამისგან არავინ არის დაზღვეული) 10-დან 9-ის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება...

მე მგონი, კმარა, თუმცა მსგავსი ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლება.

იქნებ ყველაფერს განგებ შავი ფერით ვხატავთ?...

არა და არა!... ესეც რომ არა, ძვირფასო დედებო და მამებო, განა თავად კი ვერ ხედავთ თქვენს საყვარელ ჩაპუტკუნებულ და ჩაზულუქებულ შვილიკოს, ორმაგღაბაბიანს ან მხრებში მოხრილ-მოკუზულს, რომელიც ვერც საკუთარ ტანს ერევა და ვერც თანატოლს, რომელმაც არც ცურვა იცის და არც სირბილი?...

ნუ მიწყენთ, ჩემო კეთილო და მოსიყვარულე მშობლებო, ნურც მკრეხელობაში ჩამითვლით, მაგრამ განა თავად არა ვართ ყველაფერში დამნაშავენი? განა თავად ვერ ვხედავთ, რა მოგვიტანა მეოცე საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ? განა არ ვხედავთ, ფიზიკური შრომისა და მოძრაობის უგულებელყოფამ რა რიგად გააახალგაზრდავა ინფარქტი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, ფსიქიკური, ალერგიული და სხვა ათასგვარი დაავადება?!

განა სულ ცოტა ხნის შემდეგ ისევ და ისევ ჩვენივე შვილები არ გვისაყვედურებენ მათი ჯანმრთელობისადმი ასეთ გულგრილობას? მაპატიეთ, მაგრამ მოვექეცით მეშჩანურ კომფორტში და დაგვავიწყდა ყველაზე სანუკვარი, ყველაზე უპირველესი — ჯანმრთელობა...

განა არ იცით, რომ მოზარდის ჯანმრთელობას საფუძველი დაბადებიდანვე ეყრება, განა არ გაგიგიათ, რომ ნორჩები ფეხის ადგმაზე ადრე ცურვას სწავლობენ?

მაშ რატომ უარვყავით ადამიანის ფიზიკური განვითარება? განა ფიზიკური განვითარება პირველ რიგში ჯანმრთელობას არ ნიშნავს, განა ჯანმრთელობა გონებრივ განვითარებასა და ინტელექტს ვნებს? ვის შეუძლია ამის უარყოფა! ესეც რომ არა, ნუთუ არ გაღელვებთ თქვენი შვილების თავისუფალი დროისა და ქუჩის პრობლემა?

მაშ რატომ ხდება, რომ დონის როსტოვში 240 საბავშვო ბაღიდან ასს საკუთარი საცურაო აუზი აქვს, თბილისში მხოლოდ ერთია (!), ისიც თბილისის ცხიმკომბინატის ხელმძღვანელობას უნდა ვუმადლოდეთ (დირექტორი შოთა ქუტიძე), რომლებმაც თავისსავე საწარმოს საბავშვო ბაღს მშვენიერი, მოზაიკით მოკირწყლული საცურაო აუზი აუშენეს. ერთი შეხედვით, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მაგრამ აბა, ღრმად ჩავუკვირდეთ...

გაკეთდა დიდი ეროვნული საქმე, რომელსაც პატრიოტიზმი და ერის მომავლისადმი ზრუნვა ჰქვია.

№ 40 საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა (გამგე თინა სინაურიძე) საცურაო აუზის უქონლობის მიუხედავად მახლობლად მყოფ „შრომითი რეზერვების" საცურაო აუზს მიაკითხეს... აუზის დირექციის ხელშეწყობით სულ მოკლე ხანში რამდენიმე ათეულ ჩვილს წყალზე გაჩერება ასწავლეს. განა ეს ცოტაა, განა თითოეულ ჩვენთაგანის უპირველესი მოვალეობა სწორედ მოზარდების ჯანმრთელობისთვის ზრუნვა არ არის?

თბილისში 210 საბავშვო ბაღია, მათ შორის 58 საუწყებოა, რომლებიც უშუალოდ საწარმო-დაწესებულებებსა და ფაბრიკა-ქარხნებს ეკუთვნის.

ჩვენ არ გვეგულება ისეთი ორგანიზაცია, საწარმო-დაწესებულება, რომელსაც საკუთარი სახსრებით საკუთარი საბავშვო ბაღისათვის პატარა საჭყუმპალაოს აშენება არ შეეძლოს.

რა არის ამისათვის საჭირო?

— მონდომება, ამ საქმის გულთან მიტანა და სულ ცოტა ხარჯები. მილიონს გადაცილებულ თბილისში სკოლამდელთათვის ერთადერთი საცურაო აუზი გვაქვს, ვინ ითავებს მეორის აშენებას, ვინ ითავებს ამ საშვილიშვილო საქმეს, ვინ ჩაუსხამს ნორჩებს წყალს?...

კიდევ რა უნდა გაკეთდეს?...

— მომავალში ისე არ უნდა აშენდეს არცერთი ახალი საბავშვო ბაღი, იქ საჭყუმპალაო რომ არ იყოს.

— გადისინჯოს ყველა საბავშვო ბაღი და სადაც კი ამის საშუალებაა, სასწრაფოდ გაკეთდეს მცირე ზომის მარტივი ტიპის საცურაო აუზი. იქნებ პლასტმასის, დიმიტროვის სახელობის და სხვა შესაბამისმა ქარხნებმა ითაონ სულ მცირე ზომის გადასატანი საჭყუმპალაო აბაზანის გამოშვება, (უცხოეთში ხომ ასეთები მრავლად იყიდება).

იქნებ ვინმემ ითაოს საბავშვო ბაღებისათვის მცირე ზომის საჭყუმპალაოთა ტიპობრივი პროექტის დამუშავება?!

იქნებ ვინმემ... თუმცა კმარა. ახლა სიტყვა თქვენზეა, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებო, არქიტექტორებო და მშენებლებო, აღმზრდელებო და მშობლებო.

ერთი სიტყვით, ვისაც ესმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალური, ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა, ვისაც აღელვებს და აფიქრებს ჩვენი თაობის აწმყო და მომავალი, უფლება არა აქვს განზე იდგეს ამ საშვილიშვილო საქმიდან.

ბივი ყირმელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მორალის თემაზე

# დანგრეული გულები

### რედაქციაში წერილი მოვიდა...

მშობლიური სიყვარული ძლეთამძლეაო— — უთქვამს ხალხს. და მართლაც იგი ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს, ხელს უწყობს ოჯახურ სიმტკიცეს.

— გავიზარდე მამის მფარველობით. იგი სამამულო ომში დაიღუპა. მზრდიდა დედა, რომელმაც ახალგაზრდობა მე შემომწირა და განა არსებობს ადამიანი, რომელსაც დედა არ უყვარდეს? ჩემი ბავშვობის ოცნება იყო შემექმნა ჯანსაღი ოჯახი, აგებული ურთიერთპატივისცემაზე, ამას ხომ მე ჩემს მშობლებთან ვხედავდი და ვოცნებობდი ჩემს მომავალზე, როცა მეც სიყვარულით სავსე თბილ კერაში, თბილ ატმოსფეროში აღვზრდიდი შვილებს.

— მე და გივი შევუღლდით. ჩვენ ერთმანეთი მოგვწონდა; მიყვარდა და ვაფასებდი ღირსეულ მეუღლეს, რადგან ის ჩემი ნამდვილი მეგობარი იყო, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. მაგრამ მოვტყუვდი. მან სხვაზე გამცვალა. აბა, რა ბრალი მიუძღვის ბავშვს, რომელიც მსხვერპლი უნდა გახდეს მამის შეცდომებისა — შვილი, რომელიც ორივეს უსაზღვროდ გვიყვარს, უნდა დაისაჯოს? რატომ, რისთვის? — წერდა რედაქციას თინა ახალაძე.

განსჯის საგანია ოჯახში გადადგმული მცდარი ნაბიჯი, როცა შვილები, — უდანაშაულო დამნაშავეთა როლში გამოდიან.

ოჯახის ნგრევა მეტწილად მესამე პირის გაჩენის შედეგია. ზოგი ქალი ცდილობს საკუთარი ინტერესებისათვის დაუმტკიცოს მამაკაცს სიყვარული, მოჰგლიჯოს შვილებს მამა. სულიერად გაძარცულნი დროთა ხვლაში იძულებული არიან მიუბრუნდნენ თავიანთ „ძველ" ოჯახებს, მაგრამ ბევრი მეუღლე უკვე ალმაცერად უცქერის დაბრუნებულ გულგაციებულ ქმარს, შვილებიც ხელს ჰკრავენ მოღალატე მამას და საბოლოოდ იმსხვრევა ყოველივე, ინგრევა ოჯახი.

ოჯახი მაშინ ირღვევა, როცა მასში მხოლოდ და მხოლოდ სუსტი უნებისყოფო ადამიანის სული სულდგმულობს. ეთერ ლიაძის წერილი ასე იწყება: მე თურმე ამ ოჯახის მეოთხე მსხვერპლი ვარ. და როგორ ფიქრობთ, ამ სახლის ბინადარნი განიცდიან სინდისის თუნდაც მცირეოდენ ქენჯნას? არამც და არამც! ქალი, დედა — პროფესიით გინეკოლოგი, რომელიც ახალგაზრდა დედებს ბავშვების გაზრდის სიყვარულს უნდა უნერგავდეს, საქვეყნოდ მლანძღავს მხოლოდ იმისათვის, რომ შვილი მინდა მყავდეს.

მე კი მსურს ამ წერილით პასუხი გავცე ჩემს ყოფილ დედამთილს — ნუ შიშობს შვილიშვილის ტვირთს. მე შვილს იმიტომ ვაჩენ, ჩემს ცხოვრებას მიზანი რომ ჰქონდეს. იქნებ დედობის უსპეტაკესმა გრძნობამ მაინც დამიბრუნოს დაკარგული რწმენა სიყვარულისა, რომელშიც ასე სასტიკად მოვტყუვდი. დაე ჩემი ამბავი მაგალითი ყოფილიყოს ყველა მეოცნებე ქალიშვილისათვის, უკეთესად ამოეცნოთ მათ ადამიანის სახე და ჩემსავით არასოდეს გაცრუებოდეთ იმედი.

კომუნისტური პარტია, ხელისუფლება, ნამდვილი საბჭოთა ადამიანები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ მოქალაქეებს, რომლებიც ქორწინებას ფუქსავატურად ეკიდებიან, შვილებს ტოვებენ. ასეთი ადამიანი, ქალია იგი თუ კაცი, უმსგავსი მშობელიც არის და ცუდი საზოგადოებრივი მუშაკიც.

იზოლდა ა. რედაქციას წერს, ჩემი მეუღლის ოჯახში დედამთილის და მამამთილის გარდა მულებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ქმარშვილითო. ტკბილი იყო ჩვენი დიდი ოჯახი. თავს ბედნიერად ვგრძნობდი. გავიდა რამდენიმე თვე და ფეხმძიმედ გავხდი. ცუდად ვიყავი და შინ მუშაობა არ შემეძლო. მულებმა უმალ ამითვალწუნეს. საავადმყოფოში მომათავსეს, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ ქმარმა ბინაში არ დამაბრუნა, მირჩია რაიონში წავსულიყავი მშობლებთან. ექვსი თვის ფეხმძიმე მაიძულეს დამეტოვებინა ოჯახი. მალე შვილი მეყოლება, რომელიც უმამოდ უნდა გაიზარდოსო.

რედაქციაში ახალგაზრდა ქალი მოვიდა, ხელჩაკიდებული ექვსი წლის ბიჭუნა მოიყვანა. ბავშვი საოცრად ლამაზი იყო და ფართოდ გახელილ თვალებში გაიდუმალებული სევდა ამოიკითხებოდა. ამ ოჯახის მამას ახალი ოჯახი შეუქმნია, ცისანაბარა დაუტოვებია ქალი, რომელიც სასწავლებლის მერხიდან უყვარდა. ქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ხელი უკრავს ცოლისათვის, ზურგი შეუქცევია და მიუტოვებია.

ბავშვი თავდახრილი იდგა, თითქოს რაიმე დანაშაული მიუძღოდა ვისმეს წინაშე.

— გიყვარს მამა? — ვეკითხები გიას.

— ძალზე! — ხმადაბლა მიპასუხებს იგი.

— ხშირად გნახულობს მამიკო?

— არა, დიდიხანია არ მინახავს. მენატრება — თქვა და ხმა ჩაუწყდა ბავშვს. — ერთხელ დედიკომ მიმიყვანა მამასთან სამსახურში. მას კი არ ეცალა ჩვენთვის, ბევრი საქმე ჰქონია. აქ რატომ მოიყვანეო, დედას ჩემზე უსაყვედურა. ჩვენთან არ მოდის და აბა სად მენახა იგი. მე და დედიკო გულდაწყვეტილები მალე დავშორდით მამას.

რა სულმდაბალი უნდა იყო კაცი, რომ არ იწამო შენი შვილი, უმანკო ბავშვი, რომლის ოცნება მხოლოდ მშობლების სიყვარულია, მოუშხამო ნებიერი ბავშვობა და გული ჩაუკლა მას. განა ამაზე დიდი დანაშაული შეიძლება მიუძღოდეს მშობელს?

ისინი, ვინც საბჭოთა ოჯახის სიწმინდისათვის არ იბრძვიან, ოჯახებს ანგრევენ გაუმართლებელი მიზეზებით, მართლმსაჯულების მუშაკებმა უნდა გამოავლინონ, სამსჯავროზე გამოიტანონ ოჯახისა და შვილების მოღალატე დედა და მამა.

თამარ გ-მ აღძრა საქმე, რადგან ქმარზე უკეთესი მეგობარი სხვაში აღმოაჩინა. გაუქმდა ქორწინება, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო. კაპრიზებზე აგებული საბაბით დაინგრა ოჯახი და შვილს წაართვეს ნორმალური აღზრდის საშუალება.

— მე შვილიშვილის ნახვის უფლება დღეიდან კანონმა უნდა მომანიჭოს. ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეფებულ, მორალურად გაუმართლებელ ქცევას შეეწირა ჩემი შვილისა და შვილიშვილის ბედი — მოგვითხრობს დამსახურებული პედაგოგი მ. გ-იაძე. არიან ისეთი დედამთილებიც, რომლებიც თავგამოდებით იცავენ შვილის ოჯახის ღირსებას.

— დამენგრა ვაჟიშვილის ოჯახი და მართმევენ შვილიშვილსაც. რამდენიმე წელიწადი ვიბრძოლე იმისათვის, რომ პატარისათვის ბედნიერი ბავშვობა არ წაერთმიათ. ჩემი შვილიშვილის აღზრდას თან სდევს მოუშორებელი ტკივილი, რაც მისმა დედამ მიაყენა.

საკითხი ისმის: თავიანთ პირმშოს რატომ წაართვეს უდარდელი ბავშვობა და რად დაუკარგეს მზრუნველობა და ალერსი, რაც ყველაზე ძვირფასია შვილისათვის? ზურაბის სასკოლო ასაკი მისი მშობლების ქორწინების გაუქმებით აღინიშნა. აი „ჯილდო“ შვილისადმი! ამბავი ასე დაიწყო:

ერთმანეთს რაიონში გაეცვნენ. შეუღლდნენ. მაგრამ შემდგომ გამოირკვა, რომ ცხოვრებაზე სხვადასხვაგვარი შეხედულებები ჰქონიათ. ლიას აზრით, შრომა სხვისთვის არის მოგონილი, თვითონ კი მზამზარეულზე უნდა ცხოვრობდეს. ქმარს კი რაიონი, მშენებლობები, ცხოვრების სიახლე იტაცებდა.

დანაშაული შვილზე გადაიტანეს. ფუქსავატურ მოაზროვნეს არ სურდა ეფიქრა ქმარ-შვილისათვის, ეცხოვრა ქმართან ერთად რაიონში, სადაც მეუღლეს მუშაობა უხდებოდა.

ლია ცდილობს ბავშვს გულისფიცარზე დააწეროს მამის სიძულვილი, შეაყვაროს მამინაცვალი. „მე რა ჭირად მინდა ვიღაც გოგი ბიძია, ჩემი მამიკო ყველას მირჩევნიაო“ — ამბობს პატარა.

შვილს შეუქმნეს დარდიანი პირობები და სამუდამო ლაქა დააჩნდა მის ბავშვობასა და სიყმაწვილეს. ასე დაინგრა ერთი ბუდე.

როცა ოჯახი იქმნება, დიდია პასუხისმგებლობის გრძნობა. ნივთებით გატაცება, მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტი ტრფიალი, მათი კერპად გახდომა ერთი და ორი ოჯახის დანგრევის საფუძველი როდი გამხდარა. ნივთებს გრძნობა ჩაუხშავს, სიხარული მოუწამლავს.

ჩვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვაშენებთ და თუ ზოგჯერ ჩვენი მოთხოვნილება წინ გაუსწრებს მისი დაკმაყოფილების საშუალებებს, ეს არ უნდა გახდეს ოჯახის დრამა, არ უნდა იყოს ოჯახის დანგრევის მიზეზი. ადამიანს ხომ უფრო დიდი მისია აკისრია, ვიდრე ნივთებით ტკბობა. შვილების წინაშე მოვალეობა ხომ ადამიანის ცხოვრების ქვაკუთხედია. როგორც მაკარენკო ამბობს: „ბავშვის სწორი აღზრდა ჩვენი ბედნიერი მოხუცებულობაა, ცუდი აღზრდა კი — მწუხარება და ცრემლები“. ამიტომ არის საჭირო დასკვნების დროული გამოტანა, ვიდრე გვიან არ არის, რომ ოჯახი — ოჯახად დარჩეს.

**ეთერ ჯაფარიძე**

ჩვენი დღეგრძელობის ინსტიტუტი

# გვიან არასოდეს არ არის

როგორ გაუხანგრძლივდეს ადამიანს სიცოცხლე? ეს პრობლემა უძველეს დროიდან მეცნიერთა დიდ ინტერესს აღძრავდა. თანამედროვე გერენტოლოგიის მიზანია, იზრუნოს დღეგრძელობის გადიდებაზე, ამასთან, იმ აქტიური მონაკვეთის მნიშვნელოვან გახანგრძლივებაზეც, როცა ადამიანი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია. ჯერ კიდევ დიდი რუსი ბიოლოგის ი. ი. მეჩნიკოვის აზრით, ადამიანის ორგანიზმს დაუშრეტელი შინაგანი რეზერვები მოეპოვება. 150 წელზე ადრე სიკვდილი ძალადობრივი სიკვდილია. როცა ადამიანი 70 წლისა კვდება, ეს მხოლოდ იმის დასტური გახლავთ, რომ მას სწორად არ უცხოვრია — ესე იგი, — აღნიშნავდა იგი — ადამიანმა თავისი სიცოცხლის მანძილზე ვერ გამოავლინა, ვერ განავითარა ორგანიზმის დამცველი ძალები და საშემგუებლო (საადაპტაციო) მექანიზმები, უფრო მეტიც: პირიქით, დაასუსტა და ჩაახშო ისინი, რითაც ხელი შეუწყო ორგანოებისა და ქსოვილების ფუნქციების დაქვეითებას, მაშინ როდესაც მათ თავიანთი მოქმედების (სიცოცხლის) ბევრად უფრო დიდი ხნის შესაძლებლობა გააჩნიათ.

მრავალი კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვებით დადგინდა, რომ ცოცხალი ორგანიზმის — ცხოველის, ადამიანის ორგანოში და სისტემაში ძირითადად თავიანთი შესაძლებლობის მხოლოდ 30-40 პროცენტი ფუნქციონირებს, სხვა დანარჩენი სარეზერვო ძალები კი, ორგანიზმის შეზღუდული მოძრაობის გამო, გამოუყენებელი რჩება ან კიდევ მავნე ფაქტორების ზემოქმედებით ნაადრევად იწყებს დაკნინებასა და დაბერებას.

ჩვენი საუკუნის მეცნიერულმა და ტექნიკურმა პროგრესმა ჭეშმარიტად დიდი როლი შეასრულა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების საქმეში. ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში მედიცინისა და ბიოლოგიის მიღწევებმა ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკა განაპირობა. მაგრამ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანი მძიმე ფიზიკური შრომისაგან გაანთავისუფლა, ყველა პირობა შექმნა იმისათვის, ფიზიკურად ნაკლები ეშრომა, ნაკლები ემოძრავა, მაგრამ ყოველივე ამან კი გამოიწვია ე. წ. ჰიპოდინამია (ჰოპოკინეზია), რაც ფიზიკური დატვირთვის (კუნთური მოქმედების) მნიშვნელოვნად შეზღუდვას ნიშნავს.

ცოცხალი ორგანიზმის არსებობისათვის მოძრაობა აუცილებელი ფაქტორია. თუ მხედველობაში მივიღებთ ცნობილ ბიოლოგიურ კანონებს: რომ ფუნქცია ქმნის ორგანოს, რომ სიცოცხლე არის მოძრაობა, სადაც მოძრაობა არ არის, იქ არც სიცოცხლეა, რომ იძულებითი უძრაობის შედეგად უჯრედში ირღვევა უჯრედშიგა სუნთქვა და წარმოიშობა ატროფიული მოვლენები, მაშინ, ადვილად გასაგები იქნება, თუ მოძრაობა რარიგ ვრცელ და უძლიერეს ფიზიოლოგიურ ზეგავლენას ახდენს როგორც ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედებაზე, ისე მის ცალკეულ ორგანოთა ფუნქციურ უნარიანობაზე. ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მისი ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისად უნდა იმოძრაოს, ივარჯიშოს, ფიზიკურად იშრომოს და სხვ. ვინაიდან ეს არის სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.

როდესაც ჩვენს დღეგრძელობაზეა ლაპარაკი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოძრაობის რეჟიმი ადამიანმა აუცილებლად რაციონალურად უნდა შეუხამოს დასვენებისა და კვების რეჟიმს. ეცადოს უკუაგდოს მავნე

ჩვევები (ნიკოტინი და ალკოჰოლი). არ დაუშვას ნერვულ-ფსიქოლოგიური დაძაბულობა (უარყოფითი ემოციური სტრესები), რომლის წარმოშობის მიზეზი ხშირად თავად მისი დაუფიქრებელი მოქმედება გახლავთ ხოლმე.

ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება მოითხოვს სწორ აღზრდასთან (გონებრივ, ფიზიკურ და სხვ.) ერთად მოსახლეობის სამედიცინო საკითხებში სათანადოდ გარკვევას, რაც საგანმანათლებლო მუშაობის თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე წარმართვას ნიშნავს. უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი რიგი დაავადებანი ადამიანს შეიძლება განუვითარდეს შთამომავლობითი მიზეზებით. ამიტომ, ამ დაავადებებისადმი მიდრეკილების შემთხვევაში აუცილებელია დროული საჭირო სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.

ჩვენს ეპოქაში ადამიანის სიცოცხლის შემოკლების ერთ-ერთი დიდი საშიშროება მოძრაობის შეზღუდვაა. თანამედროვე ცხოვრების პირობები ზღუდავს ადამიანის ფიზიკურ აქტივობას, ფეხით ცოტას დადის — ქალაქში მცხოვრებთა უმრავლესობა ტრანსპორტით სარგებლობს; სახლში ლიფტს იყენებს. მნიშვნელოვნად შემცირდა ფიზიკური დატვირთვა წარმოებაშიც, რადგან წარსულს ჩაბარდა მძიმე ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებული ბევრი პროფესია. ნაკლები ფიზიკური ენერგიის დახარჯვა უხდება სოფლის მცხოვრებთაც, მექანიზაციამ იქაც გაანთავისუფლა ადამიანი მძიმე ფიზიკური დატვირთვისაგან.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის ორგანიზმი თავისი ბუნებით (ფილოგენეზური განვითარებით) ისეა შექმნილი, რომ იგი, რაც შეიძლება უფრო მეტად უნდა მოძრაობდეს. ყოველივე ეს კი იმას მოწმობს, რომ თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვარს, თუ რაციონალურად არ გამოვიყენებთ, იგი ჩვენდა საზიანოდ შემობრუნდება.

დღეს აღარავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ ვინც ფიზიკურად სისტემატურად ვარჯიშობს, ან კიდევ რაიმე სხვა სახის კუნთურ სამუშაოს ასრულებს (ფეხით სიარული, სირბილი, ცურვა, ველოსიპედით სეირნობა, ნიჩბოსნობა, ნადირობა, ოჯახში, ბაღში და ველზე მუშაობა და სხვ.), იკაჟებს ორგანიზმს (მზით, ჰაერითა და წყლით), იცავს ჰიგიენურ რეჟიმს, თითქმის ყოველთვის თავს ჯანმრთელად გრძნობს.

ყველაზე დიდი ფიზიკური მუშაობის უნარი სპორტსმენის ორგანიზმს, კერძოდ მის გულს აქვს, თუმც აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არარაციონალურმა (გადაჭარბებულმა) სპორტულმა წვრთნამ კარგად გავარჯიშებული სპორტსმენის გულიც კი შეიძლება დააზიანოს.

მოსახლეობის ფართო მასების გაჯანმრთელების მიზნით ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" (მშთ), რომლის ნორმატივები ღრმა მეცნიერულ გამოკვლევების საფუძველზეა შემუშავებული.

ცნობილია, ადამიანი (ქალები ამ ნორმატივებს 10-დან 55 წლამდე აბარებენ), რომელიც თანდათანობით, თანმიმდევრული და სისტემატური ფიზიკური ვარჯიშით ამ ნორმატივების ათვისებას და ჩაბარებას შესძლებს, ფიზიკურად ჯანმრთელი და შრომისუნარიანი იქნება.

50 წლის შემდეგ მამაკაცები, ქალებთან შედარებით, რომელთა საოჯახო საქმეების გამო უფრო მეტი მოძრაობა უხდებათ, ძალიან ცოტას მოძრაობენ, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ისინი ქალებთან შედარებით საშუალოდ, ცხრა წლით ნაკლებს ცხოვრობენ, სიბერეში ქალი ბევრად აქტიურად მონაწილეობს ოჯახურ ცხოვრებაში.

დღეს ძალიან ბევრი ლაპარაკია ფიზიკური ვარჯიშით ადამიანის ორგანიზმის გაჯანმრთელებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, მაგრამ, სავალალოდ, უმრავლეს შემთხვევაში იგი მხოლოდ ლაპარაკად რჩება. დღეს ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც უარყოფდეს ფიზიკურ ვარჯიშს ან კიდევ მოძრავი (აქტიური) ცხოვრების დადებით მნიშვნელობას, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მხოლოდ ეთანხმება ამ აზრს, პრაქტიკულად კი არც ერთ ნაბიჯს არ დგამს მის განსახორციელებლად.

ფიზიკური ვარჯიში ადამიანის დაბადების პირველი თვეებიდანვე დადებითად მოქმედებს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებზე. თუ ადამიანი სპორტს ბავშვობიდანვე მისდევს, სისტემატურად ვარჯიშობს, მას შეუძლია სიცოცხლე გაიხანგრძლივოს, უფრო მეტიც, 20 წლით უკან გადასწიოს სიბერე, აქტიური და საზოგადოებისათვის სასარგებლო გახადოს თავისი ცხოვრება. ამრიგად, ფიზიკური ვარჯიში — კუნთური მუშაობა ერთ-ერთი მასიური პროფილაქტიკური საშუალება გახლავთ, ამიტომ იგი, სამედიცინო მონაცემების გათვალისწინებით, ყველა ასაკში უნდა იყოს გამოყენებული.

დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტად დაინერგოს ფიზიკური ვარჯიში მოსახლეობაში. აქ პირველ რიგში, ქალს—ოჯახის დედას შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს. დედა უნდა ეცადოს ბავშვს თავიდანვე გამოუმუშაოს სპორტის, ფიზიკური დატვირთვის (ფიზიკური შრომის) სიყვარული, მშობლები—აღმზრდელები კი თავად უნდა აძლევდნენ ამის მაგალითს.

ფიზიკური ვარჯიშის დაწყება გვიან არასოდეს არ არის, გვახსოვდეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება — მოძრაობა სიცოცხლეა!!

**რ. სვანიშვილი,**
სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე.

## ჩვენი დღეგრძელობის ინსტიტუტი

### მოძრაობა სიცოცხლეა

თანამედროვე ქალაქის მცხოვრები მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე 150 ათას საათს ზის. ჯდომისას იგი წუთში 250 კუბურ სანტიმეტრ ჟანგბადს ხარჯავს, რაც ორგანიზმის მხოლოდ ძალიან აუცილებელ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ორგანიზმი რომ სისტემატურად ჟანგბადის ასეთ ღარიბ ულუფაზე იმყოფება, მას ბევრი რამ მოუშლება, და ამის მიზეზი ჰიპოდინამია — უმოძრაობა იქნება.

სუფთა ჰაერზე გასეირნებისას, ადამიანი თითქმის ათას კუბურ სანტიმეტრ ჟანგბადს შთანთქავს, სირბილის დროს კი — ოთხი ათასს. ტყუილად როდი ამბობენ, ჯანმრთელობისკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ ფეხით დადიანო!

### წამლების მანიის მსხვერპლნი

გამოანგარიშებულია, რომ წელიწადში სულ ცოტა 300 ათასი ამერიკელი ავადდება აბების, ფხვნილებისა და ნაყენების „გვერდითი მოვლენებით". ოცდაათი ათასი კვდება წამლების მცდარად და დიდი დოზების მიღებისაგან. ეს, როგორც ამერიკელი ექიმები აღნიშნავენ, უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ყოველწლიურად 1200 სხვადასხვა ახალი, რეკლამირებული, მაგრამ შეუმოწმებელი მედიკამენტი შემოდის. ამერიკის შეერთებულ შტატებში წამლებით დაავადება პაციენტთა საავადმყოფოში დაწოლის მიზეზთა პირველ ათეულში შევიდა.

### როგორ გავანებოთ თავი თამბაქოს წევას?

ავსტრიის მოსახლეობის გამოკითხვამ უჩვენა: ვინც თამბაქოს ნაკლებად ეწევა, უფრო იოლად ანებებს მას თავს. 100 მწეველიდან, რომელთა „ნორმა" დღეში 10 სიგარეტია 89-მა მიანება თავი წევას. იმათგან კი, ვინც დღეში 40 ან უფრო მეტ სიგარეტს ეწევა, ამ მავნე ჩვეულებას მხოლოდ 50 პროცენტი გადაეჩვია.

## ახალბედა დედებისათვის

### სარძევე კბილები

თუ ყველა—ოცივე კბილი ბავშვს ორწლინახევრამდე ამოსჭრის, ეს სრულიად ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ჩვილს პირველად 6-7 თვისას ამოსჭრის ორი ქვედა შუათანა კბილი, რასაც მაშინვე — მეშვიდე, მერვე თვეზე ზედა ორი შუათანა კბილი მოჰყვება. შუათანა კბილების მერე გვერდითი კბილები დაიწყებს ამოჭრას. ჯერ ზედა გვერდითი, შემდეგ კი ქვედა გვერდითი კბილები. ერთი წლის ბავშვს უკვე რვა ახლადამოჭრილი კბილი აქვს.

ორი-სამი თვის შემდეგ ზრდას იწყებს, პირველი სალეჭი-მეოთხე ზედა და ქვედა კბილები. სათვალავს კბილების რიგის შუიდან ვიწყებთ. წლინახევრისას ამოსდის ეგრეთწოდებული ეშვები, ჯერ ქვედა, შემდეგ კი ზედა. ორწლინახევრისას კი უკვე მეორე სალეჭი — ზედა და ქვედა კბილები ეზრდება.

თუ თქვენს პაწიას კბილები უფრო ცოტა აქვს, ვიდრე მის ასაკს შეეფერება, გულს ნუ გაიტეხთ. სარძევე კბილების ამოჭრა შეიძლება ძალიან ინდივიდუალურად მოხდეს. ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა სრულიად ჯანმრთელ ბავშვებს კბილები დადგენილ ვადებზე გაცილებით გვიან ამოსვლიათ.

მაგრამ, არაფერი დაშავდება, თუ ასეთ დროს ჩვილს კბილის ექიმს ვუჩვენებთ. კბილების მდგომარეობა ბავშვის ჯანმრთელობის სერიოზული მაჩვენებელია. კბილების დაგვიანებული ამოჭრა შეიძლება რაქიტის მიზეზიც იყოს.

# დაქარგული ბავშვის სვიტერი

იქსოვება მსხვილი ძაფით. ძაფი რამდენია საჭირო, ამაზე თანდათან მიგითითებთ, რადგან სხვადასხვა ასაკის 5-6 წლის (ციფრები ფრჩხილებში არ იქნება ჩასმული) და 7-8 წლის (ციფრები ფრჩხილებში იქნება მითითებული) ბავშვების სვიტრებზე იქნება ლაპარაკი. როცა მხოლოდ ერთ ციფრს ვიხმართ, მაშინ იგი ორივეს შეეხება.

აუცილებელია: 250 (300) გრ მწვანე, 50-50 გრამი თეთრი, ფორთოხლისფერი, ყავისფერი და ცოტათოდენი წითელი ძაფი. ჩხირები—№ 3 და 3 1/2, ყაისნალი № 2, 1/2, 4 ცალი ღილი.

ნაქსოვის სახე: ჩულქური (წაღმა თვლები ამოიყვანეთ წაღმა მხრიდან, უკუღმა კი — უკუღმიდან); უკუღმა ქსოვა უკუღმა მხარე ჩულქური ქსოვისა ისევე ქსოვეთ, როგორც ჩულქური ქსოვის დროს; ქსოვა „თოკისებრი"; ყველა რიგი ქსოვეთ ან სულ წაღმა თვლებით, ან სულ უკუღმა თვლებით; მხოლოდ უკუღმა თვლებით ქსოვისას ნაქსოვი უფრო დაჭიმული გამოდის და ფორმას არ კარგავს; ჩვეულებრივი „რეზინკა": 1 თვალი წაღმა, ერთი — უკუღმა; „უგუტი" მოქსოვეთ 12 თვლით: პირველი რიგი სულ წაღმა თვლებით; მე-2 და მე-4 სულ უკუღმით; მე-3 რიგი წაღმა თვლებით; მე-5 რიგი — სამი თვალი გადმოიღეთ სათადარიგო ჩხირზე, შემდეგ სამი თვალი ქსოვეთ წაღმა. შემდეგ ამოქსოვეთ დამატებითი ჩხირით თვლები წაღმა. გადაიტანეთ სამი თვალი სათადარიგო ჩხირზე, შემდეგ სამი თვალი ამოქსოვეთ წაღმა. შემდეგ მოქსოვეთ თვლები დამატებითი ჩხირიდან, ასევე წაღმა. მე-6, მე-8 და მე-10 რიგების ყველა თვალი ქსოვეთ წაღმა, მე-7 და მე-9 რიგებისა კი — უკუღმა. მე-11 რიგიდან სამი თვალი გადაიტანეთ სათადარიგო ჩხირზე, მოქსოვეთ შემდეგი სამი თვალი წაღმა, შემდეგ ამოქსოვეთ თვლები დამატებითი ჩხირიდან ასევე წაღმა, ეს გაიმეორეთ კიდევ ერთხელ; მე-12 რიგის ყველა თვალი ამოქსოვეთ უკუღმა, შემდეგ ყველაფერი ისევე გაიმეორეთ, როგორც პირველი რიგიდან.

„ფანტაზი" ქსოვეთ 4 თვლით. პირველი რიგი — 2 თვალი ამოიღეთ წაღმა, მეოთხე თვალი ამოიღეთ მესამის წინ ასევე წაღმა, ამოიღეთ მესამე თვალიც წაღმა და ორივე წაღმა თვალი ჩხირზე გადაიტანეთ: მე-2 რიგი — მეორე თვალი ამოიღეთ პირველის წინ უკუღმა, პირველი თვალიც ასევე უკუღმა ამოიღეთ და ორივე უკუღმა თვალი გადაიტანეთ ჩხირზე. მე-3 რიგი — მეორე თვალი ამოიღეთ პირველის წინ წაღმა, პირველი თვალი ამოიღეთ წაღმა და ორივე წაღმა თვალი გადაიტანეთ ჩხირზე, მე-4 რიგი — ორი თვალი ამოიღეთ უკუღმა, მე-4-ე თვალი ამოიღეთ მესამის წინ ისევ უკუღმა და ჩხირზე გადაიტანეთ. გაიმეორეთ პირველი რიგიდან.

მასშტაბი: 24 თვალი და 32 რიგი მოქსოვილი ჩულქურად № 3 1/2 ჩხირზე უდრის 10 სანტიმეტრს.

შესრულება: ზურგი — მწვანე ძაფით აიღეთ 81 (93) თვალი № 3 ჩხირზე და მოქსოვეთ 5 სმ ჩვეულებრივი „რეზინკა". გადადით № 3 1/2 ჩხირზე და მოქსოვეთ ერთი რიგი უკუღმა თვლებით, თან სიმეტრიულად შვიდჯერ მოუმატეთ, ისე რომ 88 (100) თვალი გამოგივიდეთ. შემდეგ ასეთნაირად ქსოვეთ: 12 (18) თვალი უკუღმა, „უგუტი" (12 თვალით), 5 თვალი უკუღმა, „ფანტაზი" (4 თვლით), 5 თვალი უკუღმა. „უგუტი" (12 თვლით), 5 თვალი უკუღმა, „ფანტაზი" (4 თვლით), 5 თვალი უკუღმა. „უგუტი" 12 თვლით და 12 (18) თვალი უკუღმა. იღლიის ჭრილამდე ქსოვეთ სწორად.

გარეკანის პირველ გვერდზე — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის მექანიზატორი მანანა ნესუაშვილი; მეოთხე გვერდზე — წყალსაჯომარდო სადგური თბილისში დ. იაკობაშვილის სლაიდები

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93198-54. გადაეცა ასაწყობად 4/I-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II-79 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126.000, შეკვ. 37 უე. 00647 ფასი 30 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იღლიის ჭრილი. 29 (35) სანტიმეტრზე სიმაღლეზე ორივე მხრიდან უკელით ერთხელ 5 თვალი, ერთხელ 2 თვალი და ორჯერ 2-2 თვალი (ერთხელ 5, ერთხელ 2 და სამჯერ თითო თვალი).

მხარი სახელოს ჭრილიდან 10 (10) სმ-ის სიმაღლეზე ორივე მხრიდან, ყოველ მეორე რიგზე მოაკელით 6-3 თვალი, ორჯერ 5-5 თვალი (ორჯერ 7-7 თვალი და ორჯერ 6-6 თვალი), დარჩენილი 26 (28) თვალი დახურეთ.

წინა მხარე — მწვანე ძაფით აიღეთ 81 (93) თვალი №3 ჩხირზე და 5 სანტიმეტრზე მოქსოვეთ ჩვეულებრივი „რეზინკა". გადადით № 3 1/2 ჩხირზე და ერთი რიგი უკუღმა ამოქსოვეთ. ორჯერ მოუმატეთ, ისე რომ 88 (95) თვალი გამოვიდეს, მერე ქსოვეთ შემდეგნაირად: 10 (15) თვალი უკუღმა, „ჟგუტი" (12 თვლით) 2 თვალი უკუღმა, 85 (87) თვალი წაღმა. 2 თვალი უკუღმა. „ჟგუტი" (12 თვლით), 10 (15) თვალი უკუღმა. ქსოვეთ სწორად იღლიამდე.

იღლია საერთო სიმაღლიდან 29-ე (35-ე) სანტიმეტრზე, როგორც ზურგზე ისე უკელით.

კისერი: იღლიიდან მე-5 (მე-6) სანტიმეტრ სიმაღლეზე მოქსოვეთ ჩვეულებრივი „რეზინკით" 3 სანტიმეტრი. 2 სანტიმეტრზე სიმაღლეზე ამოქსოვეთ ღილკილოები ღილებისათვის, რომელთა ჭრილები 2 თვლით დახურეთ. პირველი ღილკილო დასაწყისიდან ორ სანტიმეტრზე გააკეთეთ, მეორე კი 14 (18) სმ-ის დაშორებით პირველიდან.

ასევე ამოქსოვეთ წინა მხრის მეორე ორი ღილკილო.

მარცხენა სახელო № 3 ჩხირზე მწვანე ძაფით აიღეთ 41 (47) თვალი და ქსოვეთ ჩვეულებრივი „რეზინკა". გადადით № 3 1/2 ჩხირზე, მოქსოვეთ ერთი რიგი უკუღმა თვლებით და ერთდროულად, მოუმატეთ სიმეტრიულად შვიდჯერ ისე, რომ 48 (54)) თვალი მიიღოთ. შემდეგ ასე ქსოვეთ: 9 (12) თვალი უკუღმა, „ფანტაზი" (4 თვლით), 5 თვალი უკუღმა, „ჟგუტი" (12 თვლით), 5 თვალი უკუღმა, „ფანტაზი" (4 თვლით), 9 12 თვალი უკუღმა, მოუმატეთ ორივე მხრიდან 7-ჯერ თითო თვალი მე-8 რიგში (8-ჯერ თითო თვალი ყოველ მე-10 რიგზე) ისე რომ 64 (70) თვალი გამოვიდეს.

სახელოს ზედა ნაწილი.—28-ე (35-ე) სმ-ზე საერთო სიმაღლიდან ერთი რიგის გამოშვებით უკელით მარცხნიდან ერთხელ 5 თვალი, ათჯერ თითო თვალი და ორჯერ 2 თვალი (ერთხელ 5 თვალი, 14-ჯერ თითო თვალი და ორჯერ 2-2 თვალი). ერთდროულად მარჯვნიდან რიგგამოშვებით უკელით ერთხელ 5 თვალი და 6-ჯერ თითო თვალი (ერთხელ 5 თვალი და 10-ჯერ თითო თვალი). შემდეგ ქსოვეთ სწორედ, ბოლო 4 თვალი ქსოვეთ „თოკისებურად". მარცხნიდან აგრძელეთ კლება. ამის შემდეგ მოქსოვეთ კიდევ 6 (7) სმ-ის სწორედ. დარჩენილი 32 თვალი დაამთავრეთ ერთდროულად.

**მარჯვენა სახელოც** ისევე მოქსოვეთ, როგორც მარცხენა, მაგრამ საწინააღმდეგო მიმართულებით.



პირობითი აღნიშვნები












შეერთება — წინა გულზე სქემის მიხედვით ამოქარგეთ ძაღლი. მზა დეტალები დაჭიმეთ, ისე რომ მათ საჭირო ფორმა მისცეთ, დაამაგრეთ ქინძისთავებით. დააფარეთ სველი ტილო და გაშრობა აცალეთ. დეტალების დაუთოება სასურველი არ არის, შეაერთეთ გვერდის ნაწილები, მიაკერეთ სახელოები.

**საყელო:** № 3 ჩხირზე კისრის ჭრილის გარშემო აასხით 85 თვალი და 7 (8) სმ-მოქსოვეთ ჩვეულებრივი „რეზინკით", შემდეგ კი ყველა თვალი ერთ რიგში დახურეთ. საყელოს გარშემო № 3 ყაისნალით მოქსოვეთ 3 რიგი სვეტებად მატების გარეშე, შემდეგნაირად: 1 რიგი თეთრით, ერთი — ყავისფერით და ერთი ფორთოხლის ფერი ძაფით (კუთხეებში გამოქსოვეთ 3-3 სვეტი ნამატის გარეშე ქვედა რიგის ერთსადაიმავე ხვრელში, მიაკერეთ ღილები.

„ბოლგარსკაია ჟენშჩინა"





ИНДЕКС 76178